საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 21 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება კრილოვის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—70, კანტორის 16—62

№ 291 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 291

ბახმის ს. დემოკრატიული ორგანიზაცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ პარასკევს, 10 დეკემბერს გარდაიცვალა ამხანაგი

გრიგოლ სოლომონის ძე ფაღავა

დაკრძალვა დანიშნულია 18 დეკემბერს, დილით, შაბათს შაურკარის ეკლესიის გალავანში. (ნ. 1—1)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე გოგუცა გიორგის ასული, შვილები: მიშა და შუტუ აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარის

ივანე ნიკოლოზის ძე დემუროვის

გარდაცვალების ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება სამშაბათს, 21 დეკემბერს ტფილისში კათოლიკების ეკლესიაში და ოზურგეთში. (4074—1—1)

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი მამა ვლადიმერ, დედა თამარა, ბებიები: მარიამ და ევდოკია, გამზრდელი ოლღა გვასალიასი, ბაბუა დეკანოზი გიორგი კვირკველია, ბიძა ვალერიან, მამიდები ოლღა, ფეოდოსია და ალექსანდრა, ბიძაშვილი მიხეილ გაბისონია და მისი მეუღლე თამარა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ 18 დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი

გიორგი (გოგი) ვლადიმერის ძე ჯუღელი

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 21 დეკემბერს ქალაქ ფოთში, ნაბუტურის სასაფლაოზე. (4072—1—1)

რესპუბლიკის თავდაცვის

ფონდი

გამგეობა აცხადებს, რომ შემოწირულებანი ფულით და ძვირფასი ნივთეულებით მიიღება სახელმწიფო ბანკში ბ. ს. კილაძესთან. ფონდის მთავარი გამგეობის მისამართი: სასახლე, ოთახი 29 ტელ. 8—16. (2—2)

საჭიროა

გამოცდილი

ბუღალტრები და მოანგარიშენი

სახელმწიფო მამულთათვის. მისამართი: მიწად მოქმედების სამინისტროს მთავარი ბუღალტერია 9—3 საათ. (ნ. 3—3)

დაიბეჭდა და გამოვიდა

გასაყიდად

ქალაქთა კავშირის გამოცემა

„ქალაქების ფინანსები“

კუზოვკოვისა, თარგმანი რუსულიდან, ნ. ელიავას წინასიტყვაობით. ფასი 60 მანეთი. ცალობით ყიდვა შეიძლება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში, ბითუმად—ქალაქთა კავშირის სტამბაში (პუშკინის ქ., № 3). (ნ. 1—1)

მეორე ქართული კლუბი

დღეს, სამშაბათს,

სინემატოგრაფი

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღ. (ნ. 1—1)

18 დეკემბერს პლეხანოვის (მიხეილის) კიროჩნი ქუჩის გადაჯვარედინებასთან № 20 ტრამვაის ასვლის დროს

დავკარგე

ცალი კალოში მარჯვენა ფეხის № 8 ნახ. მნახველს ვთხოვ მომიტანოს ამ მისამართით ელისაბედის ქუჩა № 74, ბინა სემიონოვისა, სტუდენტი ილიონი ლაგვილავას, რისთვისაც მიიღებს საჩუქარს 3000 მ. (4069—1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

სამშაბათს, დეკემბერის 21-ს

მეოთხედ ორიგინალური ტრაგედია

ბერდო ზმანია

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვ. ვალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი ალ. ახმეტელი. მუსიკა დ. არაყიშვილისა. ბალეტი და ხორო.

ხუთშაბათს, დეკემბერის 23-ს

პირველად სოფოკლეს ტრაგედია

ანტიგონე

ახალი დეკორაციები მხატვ. ვალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. მუსიკა მენდელსონისა, სიმფონიური ორკესტრი ალ. გველესიანის ლოტბარობით. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

სახელმწიფო ოპერა

სამშაბათს, 21 დეკემბერს, მეორედ მ. მორდკინის საბალეტო წარმოდგენა

კარნავალი

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს აბესალომ და ეთერი. (ნ. 1—1)

ქუთაისში

იყიდება

ქვითკირის სახლი

ივანოვის და გენერლის ქუჩების კუთხეში № 35, ცნობების მიღება შეიძლება იქვე. (4066—2—1)

ბ. შეინმანის დეპეშის გამო

ის დეპეშა, რომელიც საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანს წარმომადგენელს ბ. შეინმანს გაუგზავნია მოსკოვის მთავრობისათვის და რომელიც ზოგიერთ გაზეთებში იყო გამოქვეყნებული, ფარდას ხდის საქართველოს და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის გამწვავებას და დღის სინათლეზე გამოაქვს ბევრი გაუგებრობის მიზეზები ამ ორ შეთანხმებულ სახელმწიფოთა შორის. ამიერიდან ჩვენ ვიცით, რომ ამ გაუგებრობათა წყაროს სათავე აქვს თვით მისსიაში. ის ცნობები, რომლის მიხედვითაც მოსკოვის მთავრობამ ამ მოკლე ხანში გადასწყვიტა ნავთის გამოგზავნის შეჩერება საქართველოსთვის, მოსკოვში, ეჭვი არ არის, საბჭოთა რუსეთის მისიიდან იგზავნებოდა. მაგრამ გასანიშნავია ის, რომ ეს ცნობები, რომლებმაც ასე გაამწვავეს უკვე შეთანხმებულ სახელმწიფოთა ურთიერთობა, თავიდან ბოლომდის ან სულ მოჭორილია, ან ყალბათ არის გაშუქებული.

ამის დასამტკიცებლათ საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში იმისა, თუ როგორ არის დამახინჯებული ფაქტები ბ. შეინმანის მიერ მოსკოვის მთავრობისადმი გაგზავნილ დეპეშაში. მაგ., იგი ატყობინებს საბჭოთა რუსეთის მთავრობას, ვითომც საქართველოს არ სურდეს შესრულება ხელშეკრულობის იმ მუხლისა, რომელიც ბათომის პორტში მოსულ რუსეთის გემებს ეხება. მაგრამ თვით ბ. შეინმანმა მშვენივრათ იცის, რომ ამ მუხლის ასრულების შესახებ ხანგრძლივი მოლაპარაკება სწარმოებდა შეთანხმებულ მთავრობათა წარმომადგენლებს შორის და თუ კი ვინმე აგვიანებდა ხელშეკრულობის ხსენებული მუხლის ფაქტიური შესრულების შესაძლებლობას, ეს იყო საბჭოთა რუსეთის მისიის წარმომადგენლები და არა საქართველოს მთავრობა.

მშვენივრად იცის ბ. შეინმანმა ისიც, რომ საქართველოს რკინის გზებზე ადგილი არ ჰქონია არავითარს ხელოვნურ დაბრკოლებას დამშეული სომხეთისათვის „სურსათ-სანოვაგის, გასათბობ მასალის და სხვა ბარგის გადაზიდვის საქმეში“. სურსათ სანოვაგის ერთი გირვანქაც არსაიდან მოსულა სომხეთისათვის, და ბ. შეინმანს იგი ნახსენები აქვს, უეჭველია, იმ მიზნით, რომ ქვეყანას მოაჩვენოს, ვითომც საბჭოთა რუსეთს გულით უნდოდეს დამშეული სომხეთის გამოკვება და საქართველო ხელს უშლიდეს მას ამ კეთილ საქმეში. რუსეთი თითონაც იმდენათ არის დამშეული, რომ სომხეთს იგი ვერავითარ „სურსათ-სანოვაგეს“ ვერ მიაწვდის. რაც შეეხება სათბობ მასალას, მისი გაგზავნა დაბრკოლდა რამდენიმე ხანს მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი თოვლის გამო რკინის გზა დაზიანდა. საბჭოთა სომხეთის მთავრობას ამ დაზიანების გამო მიწერ-მოწერაც კი ჰქონდა საქართველოს მთავრობასთან და ბ. შეინმანი უნდა იცნობდეს ამ საკითხს.

ასეთისავე ხასიათისაა ცნობები მისსიის თანამშრომელთა დაპატიმრებისა და ადგილობრივი კომუნისტების დევნის შესახებ. ბ. შეინმანს ყველაზე უკეთ მოეხსენება თავისი მისსიის შემადგენლობა. მის „თანამშრომელთა“ შორის ბევრია საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც მისსიის შეაფარეს თავი, რომ ამ საშუალებით ერთნაირი იმმუნიტეტი, ხელშეუხებლობა მოიპოვონ და თავისუფლად აწარმოონ „რევოლიუციური“ მუშაობა საქართველოს დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ. და თუ საქართველოს მთავრობა ამნაირ „თანამშრომელთა“ ასალაგმავად რაიმე ზომებს იღებს, ეს საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულობის თარღვევა კი არა, პირიქით მისი პირდაპირი განხორციელება და შესრულება არის. —საბჭოთა რუსეთის მისსია თითონვეა ვალდებული ალაგმოს თავისი ასეთი „თანამშრომლები“ და, თუ თითონ ამას არ სჩადის, უნდა გაჩუმდეს მაინც, როდესაც საქართველო ხელშეკრულობით ნაგულისხმევ თავის უფლებებს ასრულებს. რაც შეეხება ადგილობრივი კომუნისტური პარტიის დევნას, უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული იყო აუარებელი საბუთები იმის დამამტკიცებელი, რომ კომუნისტები ჩვენში შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებენ და მის მოსაწყობათ ხარჯავენ რუსეთიდან მიღებულ მილიონებს. თუ ეს დასაშვები არ არის საბჭოთა რუსეთისათვის, სადაც ამისთანა უცხოეთის აგენტებს ჯგუფ-ჯგუფად ხვრეტენ, რად უნდა აშფოთებდეს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს, როდესაც საქართველოში მხოლოდ აპატიმრებენ უცხოეთის ამისთანა მოსყიდულ აგენტებს?

ჩვენ აღარ გამოვუდგებით ბ-ნ შეინმანის დეპეშის სხვა ფაქტების დარღვევას: ყველა ეს ფაქტები, ვიმეორებთ, ან მოგონილია, ან დამახინჯებული. ჩვენ გვინდა მივაქციოთ ყურადღება დეპეშის კიდევ რამდენიმე ადგილს, საიდანაც აშკარა ხდება, რომ მოსკოვის მთავრობის განკარგულებით საქართველოსთვის ნავთის მოწოდების შეჩერება ნაკარნახევია ტფილისიდან ბ-ნ შეინმანის მიერ. ბ-ნ შეინმანის დეპეშაში საქმე ისეა მოჩვენებული, ვითომც ეს ზომა—ნავთის მიწოდების შეჩერება საკუთრივ „პედაგოგიურს“ გავლენას ახდენდეს საქართველოზე: იგი არ ასრულებს მაგ., ხელშეკრულების იმ მუხლს, რომელიც გემებს შეეხება: მაგრამ „ბაქოდან ტფილისში ნავთის პროდუქტების მოწოდების შეჩერების შემდეგ საქართველოს მთავრობამ წინადადება მოგვცა განგვეგრძო მოლაპარაკება გემების შესახებ და პირველსავე თათბირზე 13 დეკემბერს დათმობის გზაზე დადგა...“ საქართველო არ ატარებდა სომხეთისათვის გაგზავნილ „სურსათ-სანოვაგეს, სათბობ მასალას და სხ.“ და „მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ნავთის მარშრუტები შევაჩერეთ, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად შეგვატყობინა 14 ამ თვეს, რომ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას და ა. ს. ს. რესპუბლიკას თავისუფალი ტრანზიტის უფლება ეძლევათ საქართველოს რკინის გზებზე სომხეთისაკენ“. ერთის სიტყვით ბ. შეინმანი ერთნაირი რეპრესიული ზომების საჭიროებას ამტკიცებს საქართველოს მიმართ.

დღეს ჩვენთვის აშკარა ხდება ჩვენი უთანხმოების წყარო საბჭოთა რუსეთთან. ადგილობრივი კომუნისტები არიან საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის სულის ჩამდგმელნი. საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბ. შეინმანი გარშემორტყმულია ამ საქართველოს მტრებით, რომლებიც შეურიგებლათ არიან გაბოროტებულნი საქართველოს მთავრობაზე და დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ როგორმე გააბათილონ საქართველოს და საბჭოთა რუსეთის შორის დამყარებული თანხმობა. ამ საქართველოს მტრებისთვის ბ. შეინმანს ფართოდ აქვს გაღებული კარები და მათ სიტყვებისთვის მუდამ მზადა აქვს ყურები. მათი პრესიდან იღებს იგი ყველა იმ ცნობებს, რომლებსაც გზავნის მოსკოვისაკენ. მათივე პრესიდან ღებულობს იგი დირექტივებს, რომლებსაც აქედან უკარნახებს მოსკოვს. და ამას სჩადის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი, რომლის მთავარი დანიშნულება იმაში უნდა იყოს, რომ მიაღწიოს შეთანხმებას და გაანელოს და ბოლო მოუღოს ყოველს გამწვავებას, რაც კი მეზობელ სახელმწიფოთა შორის ატყდება.

საზიზღარი კამპანია

ნელ-ნელა ეხდება ფარდა იმ მზადებას, რომელსაც აქ ეწეოდენ კომუნისტები აჯანყების გამოსაწვევათ და წითელ არმიელთა რესპუბლიკაში შემოსაყვანათ.

ჩვენ ვიცით, თუ როგორი ტყუილი ამბები აფრინეს მოსკოვში ჩვენი მთავრობის მოქმედების შესახებ. მარა, როგორც ირკვევა, ისინი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულან. კომუნისტური მატყუარები ამავე დროს ცდილან ჩვენს გარშემო შეექმნათ რესპუბლიკის საწინააღმდეგ „საზოგადოებრივი აზრი“, რომ შემდეგ ადვილათ გაემართლებიათ თავისი ბნელი განზრახვა.

ჩვენ ხელთა გვაქვს ბაქოელი „კომუნისტის“ 184 ნომერი, რომელიც სავსეა ინსინუაციებით და ჩვენი ლანძღვა-გინებით. გაზეთი სხვილი ასოებით ბეჭდავს შემდეგ ანშლაგებს:

„საქართველოს მენშევიკთა მთავრობას, ინგლის-საფრანგეთის ბინძურ ბრძანებით, სურს შიმშილით მოკლას საბჭოთა სომხეთი“!

„კავკასიის მუშათა მოწინავე ავანგარდი—ბაქოს პროლეტარიატი იმაღლებს თავის მძლავრ პროტესტის ხმას მეორე ინტერნაციონალის საზიზღრო გმირთა წარმოუდგენელი ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ“!

„მენშევიკურმა საქართველომ ვერც ერთი წვეთი ნავთი ვერ უნდა მიიღოს, სანამ არ გაუშვებენ პურს სომხეთის მუშებისა და გლეხებისათვის“!

ამ ველურ ამოძახილებს აგვირგვინებს იმავე გაზეთში მოთავსებული მოწოდება ბაქოს საბჭოს. მოვიყვანოთ ის სიტყვა-სიტყვით:

„საბჭოს მიმართვა საქართველოს მუშათა და გლეხთა მიმართ.

ბაქოს საბჭო ღრმათ აღშფოთებულია იმით, რომ თქვენმა მთავრობამ უარი სთქვა პურით დატვირთულ სამარშრუტო მატარებლის საბჭოთა აზერბეიჯანიდან საბჭოთა სომხეთში გაშვებაზე.

ამით თქვენმა მთავრობამ, ანტანტის იმპერიალისტების კარნახით იკისრა სომხეთის მშრომელი ხალხის საზიზღარი ჯალათის როლი: ამით მას სურს შიმშილით მოკლას ნორჩი, ჯერ კიდევ გაუმაგრებელი საბჭოთა რესპუბლიკა, რომ ერთხელ კიდევ დაუმონოს ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის დაქირავებულ დაშნაკელებს და ბურჟუაზიის სხვა მაჩანჩალებს მრავალ ტანჯული, გაწამებული და ძალა გამოლეული სომხეთის მშრომელი ხალხი.

ბაქოს საბჭო ენერგიულ პროტესტს აცხადებს თქვენი მთავრობის ასეთი მოქმედების გამო. თქვენი ვალია, აიძულოთ მთავრობა, რათა ის არ იყოს ანტანტის ხელში სათამაშო ძალა და ხელი აიღოს ისეთ მოქმედებაზე, რომელიც იწვევს მთელი ხალხის აურაცხელ გაჭირვებას და შიმშილით სიკვდილს.

თქვენი მთავრობის უარი საბჭოთა სომხეთისთვის პურის გაშვების საქმეში გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ ნავთი, ბაქოს მუშების სისხლითა და ოფლით დამუშავებული, რომლის ნაწილს საბჭოთა აზერბეიჯანის მთავრობა იძლევა საქართველოსათვის,—რომ ეს ნავთი ხმარდება არა მშრომელთა საჭიროებას, არამედ ექსპლოატატორთა და დამჩაგვრელთა მთავრობის გამაგრებას, წინააღმდეგ მუშათა და სოფლის ღარიბთა ინტერესებისა. ამ შემთხვევაში ბაქოს საბჭო იძულებულია წინადადება მისცეს თავის მთავრობას გადაათვალიეროს საქართველოსთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულობა, რომლითაც მას ნავთი ეძლევა.

არ დაივიწყოთ, რომ ამიერიდან პასუხისმგებლობა სომხეთის მშრომელი ხალხის ბავშვთა შიმშილით ამოხოცვაში თქვენ არ აგცილდებათ. ბაქოს საბჭო იმედოვნებს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი დარჩება თავის პროლეტარულ შეგნების სიმაღლეზე და თავის ვალს მოიხდის საბჭოთა სომხეთის და მთელი ქვეყნის მშრომელი მასის წინაშე“.

ეს მოწოდება, აგებული აშკარა სიყალბეზე, ეს ისტერიული კივილი ერთ რამეს ცხადათ მოწმობს: **კომუნისტები ემზადებოდენ საქართველოზე თავდასახსმელათ, ისინი ამისათვის ქმნიდენ საზოგადოებრივ აზრს.**

ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია გავაცხადოთ, რომ აქ მოთხრობილი ამბები სომხეთისათვის სურსათის დაკავების შესახებ თავიდან ბოლომდე გამოგონილია.

ჩვენ ხელთა გვაქვს უტყუარი საბუთი იმისა, რომ 18 დეკემბრამდი, კომუნისტებს არც ერთი ვაგონი პური, არც ერთი ფუთი ხორბალი არ წარმოუდგენიათ ჩვენი რკინის გზისთვის სომხეთში გადასაგზავნათ. მოწოდება კი დაწერილია 9 დეკემბერს. პირიქით, ჩვენამდი მოღწეული ცნობით, სომხეთში შესული წითელ არმიელები ცხოვრობენ დამშეულ სომხეთის ხარჯზე. ახდენენ ცხენების საკვები მასალის რეკვიზიციას, მიყავთ საკლავი საქონელი, ართმევენ პურს და სხვა.

ასე იქცევიან „სომხეთის მშრომელი ხალხის კეთილისმყოფელები!“

და ამ ხალხის სახელით მათ სურთ საქართველოს დემოკრატიის მიმართ შეასრულონ თავისი ბნელი განზრახვა.

მარა საქართველოს მუშათა კლასი მათ ამის ნებას არ მისცემს.

ის ფხიზლათ დგას თავის სადარაჯოზე და კომუნისტების მიერ გამოსროლილ ტალახს მათვე უბრუნებს უკან!

სოციალ-დემოკრატი.

კომუნისტურ სამოთხეში

II

აი კიდევ ერთი ნიმუში იმისა, თუ როგორ ირღვევა და ეცემა მრეწველობა ბოლშევიკების ხელში მაშინაც კი, როცა ისინი თითონ ძლიერ დაინტერესებული არიან მის აყვავებაში. აი, მაგალითად, რა მოუტანეს კომუნისტებმა ბაქოს მრეწველობას. აპრილის დამლევს დაიკავეს წითელ არმიელებმა ბაქო. ამის შემდეგ იწყება ნავთის ამოღების თანდათანი შემცირება.

ამოუღიათ	ათასი ფუთი
მაისში — — —	16,536
ივნისში — — —	14,948
ივლისში — — —	13,201
აგვისტოში — —	12,163
სექ. (პირველ 15 დღეში)	5,307

მაგრამ ბოლშევიკების ხელში ინგრევა არა მარტო მრეწველობა, მათ არც სასოფლო მეურნეობას დააყარეს ხეირი. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვით ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო „პრავდა“.

„ჩვენ უნდა ვაღვიაროთ, რომ ძლიერ ცოტა გაკეთდა საბჭოთა სანიმუშო მეურნეობის მოწყობის საქმეში. ორი წლის მუშაობამ ჩვენ მოგვცა უმეტეს ნაწილად არა მოწყობილი მეურნეობა, არამედ სრული არევ-დარევა და სამეურნეო უნარის უქონლობა. საბჭოთა მამულების მოსავალი არ აღემატება საშუალო გლეხის ყანის მოსავალს მაშინ, როცა წინეთ ეს მამულები გაცილებით მეტ მოსავალს იძლეოდენ, ვინემ სოფლის კულაკების მეურნეობა. მამულების გარეგნული სახე მოწმობს მათ სრულ უპატრონობას, დანგრევას და დაცემას. სანიმუშო მეურნეობის მაგიერ ჩვენ ვხედავთ, რომ იხოცება მუშა-საქონელი, ხშირათ შიმშილისა და მოუვლელობის მიზეზით. იშვიათად თუ რომელიმე მამულში მთელი მიწა დათესილია, პური თავის დროზე მომკული და შენახული, იშვიათია, რომ რომელიმე მამული მოგებას იძლეოდეს. საბჭოთა მამულები ხასიათდება შრომის დაბალი ნაყოფიერებით, ანტისანიტარული პირობებით, საბჭოს საწინააღმდეგო სულისკვეთებით და სხვ.

ასეთივე სურათია შაქრის მრეწველობაში: ათასობით დესეტინა ჭარხალი მოუღებელი რჩება და იკარგება.

შედეგი ჩვენი სამეურნეო მოღვაწეობისა უარყოფითია და არა დადებითი,—აცხადებს „პრავდა“.

მუშათა მდგომარეობა რუსეთში. საქართველოს კომუნისტები ქვეყანას ატყუებენ, რომ საბჭოთა რუსეთში მუშების ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა წყობილებამ რუსის მუშებს წაართვა 8 საათის სამუშაო დღე, დაუკანონა შრომის ბეგარა, თითქოს მუშა უამისოთაც არ მუშაობდეს! როცა მუშები პროტესტს აცხადებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, მათ იჭერენ, ხვრეტენ, მუშების ორგანიზაციებს შლიან, ურჩ პროფესიონალურ კავშირების გამგეობებს „ჩრეზვიჩაიკაში“ აგზავნიან და ახალს ზევიდან უნიშნავენ.

აი როგორ ახასიათებენ თითონ კომუნისტები თავის მუშაობას:

თერგის საოლქო ისპოლკომის ორგანო „კომუნისტი“ მოწინავე წერილში სწერს: ჩვენ ღარიბ-ღატაკები ვართ, დამშეულნი; ჩვენს შორის ისევ არსებობს უსწორ-მასწორობა, ექსპლოატაცია. ჩვენ მეტათ ძვირათ გვიჯდება ფრონტებზე გამარჯვება, ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ჩვენი სახალხო, სოციალისტური მეურნეობა ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა. ამ მეურნეობამ ჯერ კიდევ ვერ გაიმარჯვა წარმოების კაპიტალისტურ წესზე, რომელიც კერძო საკუთრების ნიადაგზე დამყარებული... ჩვენი შრომა მოუწესრიგებელია.

საქართველოს კომუნისტები კი აქ გვაჯერებენ, რომ ყველაფერი მოწესრიგებული გვაქვს, შრომის საკითხი რუსეთში გადაჭრილიაო.

მუშები და საბჭოთა დაწესებულებანი. ვიღაც მუშა ქალი „პრავდის“ № 89 შემდეგ წერილს ათავსებს: „მე წავედი მუშათა და გლეხთა ინსპექციაში გასულ სამშაბათს. საჩივარი ჩემგან მიიღეს და მითხრეს გამოცხადებულიყავი ორშაბათს. დანიშნულ დროზე მივედი, მაგრამ გამგე არ დამიხვდა. მივედი მეორე დღეს, ის კიდევ არ იყო. „არც იქნება დღესო“—მითხრეს, საჭირო იქნება კიდევ მოხვიდეთო. თვითეულ შემთხვევაში მე ვკარგავ ერთ ნახ.—ორ საათ დროს. მნახველებს იღებენ 10-დან 4-მდე, ე. ი. მაშინ, როდესაც მე სამსახურში ვარ. მე ვკითხულობ: ვისთვის არსებობს მუშათა ინსპექცია, თუ მას მიღება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც მუშები სამსახურში არიან? და რისთვის არსებობს ეს ინსპექცია, თუ იქ საქმის გაკეთება არ შეიძლება“?

სჩანს, ძლიერ ახლოს ყოფილა მუშე-

დღეს

ჩიჩერინმა საპროტესტო ნოტით მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს იმის გამო, რომ საფრანგეთის ჯავშნოსანმა შავ ზღვაზე დასწვა რუსეთის გემი „ზეინაბი“.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მოიწონა მთავრობის ნაბიჯები გერმანიის განიარაღების საქმეში და ნდობა გამოუცხადა მას.

თემთა პალატამ მეორე წაკითხვის შემდეგ 156 ხმით 76 წინააღმდეგ მიღო ირლანდიის ჰომრული.

სერბიაში გახიზნული დონის ყაზახებს ამერიკაში გადასახლება გადაუწყვეტიათ.

გერმანული ცნობით მოსალოდნელია პოლონეთ-ლიტვის ფედერატიული შეკავშირება.

„წითელი“ სომხეთის მთავრობის წინადადება ალექსანდროპოლის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ ქემალ ფაშას ჯარების სარდლობამ არ მიიღო.

ბთან საბჭოთა ბიუროკრატია“!

როგორ ზრუნავენ სახელმწიფო დაწესებულებების მუშებზე? ვინმე შერშოვი „პრავდაში“ სწერს: „სოვხოზების მუშები ცხოვრობენ ნახევრად დანგრეულ შენობებში, დადიან ქალამნებით ნესტიან დარში, ყველას დაფლეთილი ტანისამოსი აცვია და ეს იმიტომ, რომ იმათ არ მიუღიათ არავითარი ფეხსაცმელი და ტანისამოსი. ყმაწვილები 14 16 წლამდის მუშაობენ კავშირებში. ყოველგვარ სამუშაოზე, სალეწავ მანქანაზე, საჯინიბოში, ცხოველებთან; მათი მუშაობის დრო განუსაზღვრელია, ზოგჯერ ისიც ხდება, რომ მუშაობენ სადგურში დილიდან შუაღამემდის. ბავშვებს 14 წლამდის არც ერთ სოვხოზში არ ასწავლიან წერა-კითხვას; სკოლები სოვხოზებში არ არსებობს, არ არის სოფლებშიც, არ არიან მასწავლებლები, ისინი ან კურსებზე მეცადინეობენ, ან და წავიდნენ სურსათის უქონლობის გამო. თავისუფალ ბავშვებს კი მშობლები გზავნიან სხვა და სხვა ადგილას სამუშაოთ, რასაც ჰქონდა ადგილი შემდეგ სოვხოზებში: „ლიუმანოვო“-ში და სხვებში. ბევრ სოვხოზებში არ აქვთ ცეცხლის ჩასაქრობი მოწყობილობა. ბევრ სოვხოზებში სცხოვრობენ ისეთი პირები, რომლებსაც სოვხოზთან არავითარი საერთო არ აქვთ, როგორც მაგ. უბნის აგრონომები, იმათი თანაშემწეები, უბნის მიწის მზომლები, მეტყევეები და სხ., მათ უჭირავთ ფართო ბინები, და მათ როგორც მუშებს, ისე აძლევენ მუშები შეშას, წყალს და სხ. რათ არ უნდა იცხოვრონ მათ იმ ცარიელ სააგარაკო სახლებში და გლეხების ქოხებში, რომლებიც მათ სამსახურის რაიონშია? მუშაობენ იმ დაწესებულებებში, რომლებიც გლეხებს ემსახურებიან, და სურთ კი სოვხოზებში ცხოვრება: იმათ იზიდავს კარგი მოწყობილება ბინების და ცხოვრების, ამასთანავე, იქვე გვერდით—წყალი და შეშა, მუშები კი განაგრძობენ ცხოვრებას ჭუჭყიან და ვიწრო ბინებში, მთელი ოჯახები ამზადებენ შეშასა და წყალს და ამუშავებენ ამ საქმეზედ მცირე წლოვან ბავშვებსაც კი. სოვხოზ „ველუევოში“ პოდოლსკის მაზრაში მოთავსებულნი არიან: ორი მეტყევე, მიწისმზომელი, აგრონომის თანაშემწე და მოსკოვის სახელმწიფო შაქარ-რაფინადის ქარხნის მუშების პარტია; გამგემ დაიკავა კარგი ბინა ისე, როგორც მისმა თანაშემწემ და კანტორის მოსამსახურეებმა. სოვხოზის მუშები კი შერეკილნი არიან სხვა დასხვა ბნელ და ვიწრო ყოფილ საკუჭნაოებში და ორანჟერეებთან მიშენებულ ოთახებში, სადაც ნესტიანი კედლებია. ვერეისკის მაზრის სოვხოზ „ერმინოში“ სახლები ძალიან ცოტაა. მუშები ძლიერ შევიწროვებულად ცხოვრობენ, ხბოებთან ერთად. მუშები კი სოვხოზმა შეავიწროვა. სოფლებში გლეხების ბევრი ცარიელი სახლებია. მუშების ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. საჭიროა მუშების უზრუნველყოფა საუკეთესო ბინებით. მოსკოვის ს. მ. მუშების შრომის ინსპექტორი **ა. შერშოვი.** („პრავდა“ № 148—8 ივლისი.)

ასე ზრუნავენ თავის მუშებზე კომუნისტები!

ასეთი თანასწორობა აქვთ მათ დამყარებული!

მუშები გარბიან! მუშები იხოცებიან შიმშილით და ამიტომ იძულებული არიან მიატოვონ წარმოება და სოფელში გაიქცნენ. ბოლშევიკური გაზეთი „ბედნოტა“ შემდეგს გადმოგვცემს: პუტილოვის გემის ქარხანაში უნდა იყოს 3000 მუშა, ამ ჟამათ კი 80 კაცი მუშაობს. რამდენიმე ქარხანა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ, კინაღამ დაიხურა. კოლომენის ქარხანაში „კომტრუდმა“ დააბრუნა 2500 მუშა. ბარა სანამ მათ აბრუნებდენ, ამ ხნის განმავლობაში ქარხნიდან გაიქცა 2700 კაცი“.

კომუნისტებმა ისე კარგათ მოაწყვეს მუშათა ყოფა ცხოვრება, რომ ქარხანაში მუშები ვერ გაუჩერებიათ.

აბა, როგორ არ უნდა შეიყვარონ და შეითვისონ ამის შემდეგ საბჭოთა წყობილება საქართველოს მუშებმა!

ი.

(გაგრძელება იქნება).

როგორ აწყობენ შეთქმულთა ორგანიზაციებს

არა ერთხელ გვითქვამს, რომ კომუნისტების პარტიას განაგებენ არა ადგილობრივი, არამედ—რუსეთის კომუნისტები. ეს უკანასკნელნი ნიშნავენ ცენტრალური კომიტეტის წევრებს დაუკითხავათ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ასე დანიშნული ცეკა, რა თქმა უნდა, პირველყოვლისა, ასრულებს რუსეთის ბრძანებებს და დირექტივებს. დანიშნული ცეკა ნიშნავს თავის მხრით ადგილობრივი ორგანიზაციების პრეზიდიუმს და ასე აწყობილი ბიუროკრატიული იერარქია ამყრებს კომუნისტურ პარტიაში ჯოხის დისციპლინას იმ მიზნების ადგილობრივ გასატარებლათ, რომლებსაც ისახავენ ჩვენი რესპუბლიკის გარეშე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციები. ამას ვამტკიცებდით ჩვენ მუდამ, მაგრამ ადგილობრივი „კომუნისტი“ ყოველივე ამას ცილისწამებათ ნათლავდა. თუ როგორ სტყუოდა ადგილობრივი „კომუნისტი“, ამას ნათლათ ამტკიცებს ბ. გოქაძის ინციდენტი. კომუნისტების ცეკამ გოქაძე პარტიიდან გამორიცხა და პარტიის მტრათ გამოაცხადა („კომუნისტი“ № 46) რატომ? ამის პასუხს იძლევა ის დოკუმენტი, რომელიც ჩვენს ხელთ არის და რომელიც უცვლელათ და შეუმოკლებლათ აქვე მოგვყავს:

„ამხანაგებო! თქვენ კარგათ იცით, რა დამახინჯებულ პირობებში მოხდა ბაქოში ცენტრალურ კომიტეტის დანიშვნა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამას თქვენ ვრცლათ ხართ გაცნობილი. ჩვენ არ ვცნობთ ბაქოში დანიშნულ ცენტრალურ კომიტეტს და ვითხოვთ მოკლე ხანში მოწვეული იქნეს პარტიული კონფერენცია, სადაც ფარდა აეხდება ბაქოში დატრიალებულ ამბებს. მაგრამ ცენტრალური კომიტეტი სხვა გზას მიმართავს. მან გადააყენა გუბკომის პრეზიდიუმი და კიდეც აცნო მას ამის შესახებ. გუბკომის პრეზიდიუმი შემდეგ აზრის არის: ის გადადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პლენუმი იცნობს ამ ცნობილ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. რა თქმა უნდა ამას პლენუმის სხდომა არა შემთხვევაში არ იზამს. ერთი მთავარი რამე დამავიწყდა აქ მოხსენება. ცენტრალური კომიტეტი კიცხავს გუბკომის პლენუმზე მონაწილე ყველა ამხანაგებს, იმ საქციელისთვის, რომელიც გამოიჩინა მან ცენტრალური კომიტეტის მიმართ. ცენტრალურ კომიტეტის მოქმედებაზე ყველა აღშფოთებულია და გამოაქვთ ქუთაისის გუბერნიაში არსებულ ორგანიზაციებს სასტიკი პროტესტი. თქვენც, რა თქმა უნდა, თქვენი ორგანიზაციის სახელით უნდა გამოიტანოთ (ბეჭდის დასმით და ხელის მოწერით) შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

1) საქართველოს კომუნისტურ პარტიის ხონის ორგანიზაცია სრულიად იზიარებს გუბკომის მიერ გამოტანილ რეზოლიუციებს ცეკას მიმართ, კონფერენციის მოწვევას და ცენტრალურ კომიტეტის არჩევას.

2) ხონის ორგანიზაცია ძლიერ აღშფოთებულია ცენტრალურ კომიტეტის მოქმედებით, რომელიც შეეხება გუბკომის პრეზიდიუმის გადაყენებას და ახალის ზევიდან დანიშვნას.

ჩვენ ვავალებთ ჩვენს დელეგატებს არ იცნონ ასეთი დანიშნული პრეზიდიუმი და განაგრძონ მუშაობა ძველი შემადგენლობით.

ასეთი რეზოლიუციით ჩამოხვალთ აქ. ათ ნოემბერს დილით აქ უნდა იყვეთ აუცილებლათ. ასეთია დადგენილება ჩვენი. შეიძლება თქვენ სხვა ცნობა მოგივიდით, მაგრამ არ დაუჯეროთ, თუ იგი ჩვენგან არ იქნება. დაწვრილებით ყველაფერს აქ გაიგებთ. ვიმეორებ: ათ ნოემბერს დილით აუცილებლათ აქ უნდა იყვეთ პლენუმის სხდომაზე დასასწრებლათ. გუბკომის თავჯ.—გოქაძე, მდივნის მაგ. (ვერ გავარჩიეთ).

(ბეჭედი).

ეს დოკუმენტი ამტკიცებს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი არ ჩეულია, უკეთ, დანიშნულია ბაქოში არა საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ, არამედ საქართველოს გარეშე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების მიერ და აი როცა ზოგი ადგილობრივი ორგანიზაცია არ სცნობს ასეთ ცეკას, მას პარტიის გარეშე აყენებენ და პარტიის მტრათ აცხადებენ.

ყველაფრიდან სჩანს, რომ ქუთაისის გუბკომსა და ცეკას შორის მომხდარი უთანხმოება აღმოცენდა არა მარტო ფორმალურ ნიადაგზე და ჩვენ გვინდა ვიცოდეთ ან ერთი ან მეორე მხრისაგან, რაშია საქმე? ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რა მიზნით აწყობენ ზევიდან ორგანიზაციებს ჩვენი შეთქმულები? შეიძლება ბაქოში დანიშნულმა კომუნისტურმა ცეკამ ბუნდოვანი განცხადების მაგიერ გარკვეული პასუხი მოგვცეს ამ საგანზე.

მეგობარი.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში

გვირგვინი გმირთა საფლავზე. დეკემბრის 19 ს ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ქურქულიანმა ცოცხალ ყვავილების გვირგვინებით შეამკო სომხებთან ომის დროს ეკატერინე ფილდიან დაღუპულ გმირთა ძმათა სასაფლაო.

პრეზიდიუმის სხდომა. დღეს დეკემბრის 21 ს ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით დანიშნულია სხდომა გამგეობის პრეზიდიუმის და კომიტეტის ფინანსიურ კომისიების მოქმედებათა შესაფარდებლად საფინანსო საკითხებში.

„შობის ხე“ს დღეები. ბორჯომში გაიგზავნა თანამშრომელი შობის ხეების ჩამოსატანად დედა ქალაქში.

დიასახლისებად „ფრონტის შობის ხის“ გასამართ საღამოებზე არჩეულ იქმნენ ქ ნნი გეგეჭკორისა და ავალიანისა და ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.

შეცდომა შემომწირველთა სიებში. მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ იმ სიებში, რომელთაც შემოწირულებანი არ გაუღიათ, შეცდომით არიან შეტანილნი, ბბ. სიმონიანცი, ალაჯი ალამეხტიევი და ძმ. ჯალალოვები.

პროვინციას საყურადღებოდ

ფრონტის მომწყობი მთავარი კომიტეტისაგან.

ჩვენი დემოკრატიული და დამოუკიდებელი სამშობლო ძლიერია თავის ერთობით. საქართველოს შვილთა მიერ იმის შეგნება, რომ მათი საქმე წმინდა და ჭეშმარიტია,—მას სძენს უდიდეს ძალასა და ზნეობრივ შეგნებას ეურკეცებს.

მუდმივი ჩვენი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის სიმართლეში, მის მოქალაქობრივ შეგნებასა და გაერთიანებაშია.

ჩვენში ფრონტის გაჩენის დროს არ არსებობს ფრონტი ცალკე, და „ზურგი“—სამშვიდობო კი ცალკე: მთელი რესპუბლიკა ერთი ნებით, ერთის სურვილითა და გამარჯვების მოპოებითაა აღტყინებული.

ასე იყო ყოველთვის, ასე უნდა იქნეს დღესაც. მაშ, სიტყვები აღარ არის საჭირო.

საქმეს, ყველამ საქმეს მიხედოთ!

რესპუბლიკის დედა ქალაქი ეწევა ფრონტზე მდგომ მეომართა დახმარების საქმეს და შედეგს აღწევს, სამშვიდობოს დარჩენილი პირნათლად იხდიან თავის მოვალეობას ერის თავმოყვარეობისა და უფლების დამცველთა წინაშე.

საქართველოში არ უნდა დარჩეს არც ერთი კუნჭული, კუთხე, განსაკუთრებით ქალაქები, რომ არ ჩაებას საერთო ფერხულში ფრონტის გამაგრების საქმეში.

შაბათს 25 და კვირას 26 დეკემბერს (ახალი სტილით) ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი რესპუბლიკის სატახტო ქალაქში აწყობს „ფრონტის შობის ხის დღეებს“.

ღირსშესანიშნავი და ნაყოფიერი უნდა იყოს ეს დღეები საქართველოს ყველა ქალაქებშიც.

მოგიწოდებთ: 25 და 26 დეკემბერი გადააქციოთ ჩვენი გაერთიანების, ფრონტისა და ზურგის ერთი მიზნით, გამარჯვების მოპოების სურვილით გამსჭვალვით. ფრონტის ადგილობრივ კომიტეტებმა ყველგან იქონიეთ ამ დღეებში „შობის ხე“, რომლის გარშემო გაჩაღეთ თქვენი მუშაობა. ხოლო ეს მუშაობა ისეთი უნდა იყოს, როგორც ცენტრში: ყველგან საერთო წესები უნდა იყოს დაცული. „შობის ხე“ უნდა ემსახუროს ამ მიზანს: ფრონტის ზნეობრივისა და მატერიალურ დახმარების საქმეს. ეს დღეები დღესასწაულებათ უნდა გადაიქცეს. საჭიროა:

1. ყველგან, პროვინციაში ამ დღეებში ერთსა და იმავე დროს მოხდეს „შობის ხის“ მოწყობა.

2. შემოწირულებები ფრონტისთვის უნდა შეიცავდეს: თეთრეულს, წინდასელთათმანს, თუთუნს, ასანთს, პაპიროსს, საპონსა და სხვა ფრონტისთვის გამოსადეგ საგნებს.

3. შემოწირულებათა მოკრეფისთანავე ყოველივე ეს უნდა გადმოიგზავნოს **თფილისში ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის მისამართით სასახლეში.**

შენიშვნა: ეს საჭიროა იმისთვის, რომ უფრო სასურველათ განაწილდეს საჩუქრები ფრონტზე და ყოველ მეომარს შეხვდეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მუშაობა მიზანს ვერ მიაღწევს, მოხდება გაუგებრობა.

4. ყოველივე ხარჯები შემოწირულებათა თფილისში გადასაგზავნათ უნდა იკისროს ადგილობრივ კომიტეტებმა (სასურველია შემოწირულებები გამოიგზავნოს კაცის ხელით.)

5. „შობის ხის“ მოწყობა-გამართვის პროგრამის შედგენა და აგრეთვე ამ დღეებისთვის მხარეების მოწყობა უნდა იკისროს ადგილობრივ კომიტეტმა.

დაუყონებლივ საქმეს შეუდგით.

არ ჩამორჩეს არც ერთი კუთხე.

ყოველ შეკითხვაზე კომიტეტი პასუხს გასცემს დეპეშით პროვინციას.

მისამართი: **სასახლე ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.**

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

20 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

ჩიჩერინის პროტესტი.

საფრანგეთის ჯავშნიანი გემი ფოთიდან ხუთი ვერსით დაშორებულ მანძილზე დაეცა რუსეთის გემს „ზეინაბს“, აუტეხა სროლა და ბოლოს ცეცხლი წაუკიდა. საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა ამის გამო მიმართა საფრანგეთის მთავრობას ენერგიული პროტესტით და მოსთხოვა განმარტება, ამ აღმაშფოთებელ თავდასხმის გამო, და მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

საგარეო საქმეთა კომისარიატმა მიმართა ნოტით საფრანგეთის საგარეო მინისტრს და აგრეთვე ბრიტანეთის და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრებს: საბჭოთა რუსეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ანტანტის სახელმწიფოები ყიდიან რუსეთის სავაჭრო გემებს, რომლებიც ვრანგელმა გაიტაცა. საბჭოთა რუსეთის მთავრობა მოითხოვს ანტანტისაგან მიიღოს ზომები შეაჩეროს რუსის ხალხის ქონების დატაცება და დაუბრუნოს საბჭოთა რუსეთს მისი გემები.

ფრანგული ცნობები

გერმანიის განიარაღების გარშემო.

გენ. კასტელნომ თავისი სიტყვა დაიწყო ასე: ანდრე ლეფევრის მიერ ადგილის დატოვებას წინ უძღოდა წერილი, რომელმაც აღელვა პალატაში მყოფნი იგი აყენებს საკითხს: იყო თუ არა განიარაღებული გერმანია. ეს საკითხი მეტათ უბრალოა და მე უყენებ მას მთავრობას. ჟორჟ ლეიგი საპასუხო სიტყვაში ხაზს უსვამს, რომ ყველა წამოყენებული სამხედრო კანონ-პროექტები არა თუ იყო მინისტრთა საბჭოს მიერ ერთხმათ დამტკიცებული, არამედ—ისინი გადაეცა განსახილველათ და შესაფასებლათ ქვეყნის უმაღლეს სამხედრო პირებს: უმაღლეს სამხედრო საბჭოს, რომელმაც კანონ პროექტის განხილვის შემდეგ ერთხმად მიიღო. თავის მხრით უმაღლესმა ეროვნულ თავდაცვის საბჭომ, აგრეთვე მოიწონა ის. განიარაღებულია თუ არა სავსებით გერმანია—მე გიპასუხებთ: არა. მაგრამ არის თუ არა იგი განიარაღების გზაზე დამდგარი- კი. აი ციფრები, რომელიც შეეხება გერმანიის სამხედრო მასალას: მან მოგვაწოდა 30,000 ზარბაზანი, აქედან გავანადგურეთ 28,000, მოგვაწოდა 65,000 ტყვიის მფრქვეველი, გავანადგურეთ 50,000, მოგვაწოდა 10,128 ხელით სასროლი ყუმბარები, აქედან 7 595 გავანადგურეთ. რაც შეეხება გერმანიის ჯარის პირად შემადგენლობას, იგი შემცირებულია 150,000 კაცამდე, მომავალი წლის იანვრის პირველამდე ასი ათას კაცამდე უნდა შემცირდეს. ეს შემცირება ხდება არა წინააღმდეგობის გაუწევლად. არის თუ არა გერმანიაში დამალული იარაღი: არის; მას ნახულობენ ყოველ დღე.

როგორი არის საფრანგეთის მდგომარეობა? რომ მოგვიხდეს იარაღის ხმარება, შევძლებთ თუ არა საზავო პირობების შესრულებას: მეტსაც ვიზამთ. ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს დამშვიდებული, დაასრულა ლეგმა, მას არავითარი საშიშროება არ მოელის. ამ შეკითხვების შემდეგ, რომლებიც ამ საკითხის გამო შეიტანეს ლეონ-დოდემ, ბარამ და სამბამ, ლეგი ხელ ახლავ გამოდის ტრიბუნაზე და აცხადებს: რომ ივნისიდან დაწყებული დეკემბრამდე გერმანია გვაწოდებს სამხედრო მასალას, გვარწმუნებს, რომ იგი ანაზღაურებს ზარალს, რომ გერმანია ოქროთი და ნატურით გადაიხდის მას. საფრანგეთმა არ უნდა მოაჩვენოს მთელ ქვეყანას თავი ისე, თითქო იგი ბოროტათ იყენებს თავის გამარჯვებას (ამახინჯებულია). 493 ხმით წინააღმდეგ 65 ხმისა, მთავრობას პალატამ ნდობა გამოუცხადა.

ოსმალეთის დელეგაცია.

ოსმალეთის დელეგაციის ახალმა თავმჯდომარემ ნადირ-ბეიმ პარიჟში გამგზავრების წინ შემდეგი განცხადება გააკეთა: საფრანგეთმა ოსმალეთისათვის გააკეთა გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფომ. ოსმალები არას დროს არ დაივიწყებენ, რომ დიდი უბედურების დროს საფრანგეთმა მათ ასეთი დახმარება გაუწია. ნადირ-ბეიმ თავისი განცხადება ასე დაასრულა: ოსმალეთის მისია დაიჭერს კავშირს ელჩთა კონფერენციასთან და რომ იგი იმუშავებს აღმოსავლეთის დასამშვიდებლად. მას იმედი აქვს, რომ დიდი სახელმწიფოები ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ.

ბოლშევიკური პროპაგანდის წინააღმდეგ.

ეროვნულ პარტიის შეკითხვაზე იმის გამო, რომ გერმანიას ბოლშევიკური პროპაგანდისაგან დიდი საფრთხე მოელისო, საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ მომავალში საკონცენტრაციო ბარაკების მახლობლათ სამოქალაქო გვარდიის მაგიერათ დაყენებულ იქნებიან ჯარის კაცები. ტყვეები ჩაითვლებიან საბჭოთა ჯარებათ და ყოველგვარი პროპაგანდა, იქნება ეს ბოლშევიკური, თუ ანტიბოლშევიკური, თავიდან ალკვეთილი უნდა იქნეს, რათა დამოკიდებულება გერმანიასა და რუსეთს შორის არ გაფუჭდეს. დასასრულ სიმონსმა განაცხადა, რომ გერმანიას ვრანგელის მთავრობასთან არას დროს არ ქონია ოფიციალური დამოკიდებულება.

მკაცრი სასჯელი.

რეიხსტაგში მიიღეს კანონი, რომლითაც გათვალისწინებულია ფასების არალეგალურ მომატებისათვის და ნებადაურთველ საქონლის გატანისათვის, მკაცრი სასჯელი, სასჯელის მაქსიმუმი არის კატორღაში 15 წლით გაგზავნა. ჯარიმის მაქსიმუმი არ არის განსაზღვრული, მინიმუმი კი 20 ათას მარკას უდრის.

ლიტვა და პოლონეთი.

თანახმად ვარშავიდან მოსულ ცნობებისა, დამოკიდებულება პოლონეთსა და ლიტვას შორის გაუმჯობესდა. არის შესაძლებლობა ამ სახელმწიფოების ფედერატიულათ მოწყობისა.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

20 დეკემბერი.

გაფიცვის შემდეგ.

ლონდონი. პრესა იუწყება: გაფიცვის დროს შეწყვეტილი ნახშირის გამოზიდვა ისევ განახლდა. ფიქრობენ, რომ მთელი დაკვეთილი ნახშირი მალე დამზადდება.

დონის ყაზახები ამერიკაში.

ლონდონი. სერბიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა განაცხადა: სერბიის მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს დონიდან გამოქცეული ლტოლვილები. დონის ყაზახობამ შუამდგომლობით მიმართა სერბიის მთავრობას, დაუთმოს მათ დაუმუშავებელი ადგილები დასასახლავათ, რათა თავისი შრომით დაეხმარონ იმ ქვეყანას, რომელმაც ლტოლვილებს თავშესაფარი მისცა. ამასთან ერთად ინგლისური პრესა იუწყება: დონის ყაზახები მიილტვიან ამერიკისაკენ. ამერიკაში მყოფმა ყაზახთა წარმომადგენლებმა შეერთებული შტატების უმაღლეს კომისარს მიმართა შუამდგომლობით დაეხმაროს ემიგრანტებს. უმაღლესი კომისარი დაჰპირდა, რომ ის დაუყონებლივ აუწყებს ამის შესახებ მთავრობას.

ლოიდ ჯორჯის აზრი.

მოსკოვი. „პრავდა“ (№ 255 სწერს: ლონდონის ლორდმერის ბანკეტზე ლოიდ ჯორჯი შეეხო რუსეთს და გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ იგი ვერ ხედავს საფუძველს, რომლის ძალითაც მას შეეძლოს გამოსთქვას იმედი რუსეთის მდგომარეობის მოკლე ხანში გაუმჯობესების შესახებ. უნდა მივიღოთ სახეში ის მდგომარეობა, სთქვა ლოიდჯორჯმა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბოლშევიკური რეჟიმი დარჩა, შეიძლება რუსეთში ანარქია გამეფდეს. შეიძლება ბოლშევიზმი გაუქმდეს, მაგრამ თუ რუსეთი დარჩა ანარქიის ძალაუფლებაში, მაშინ გავა მრავალი ათეული წელი, სანამ იქ ისევ აღსდგება წესრიგი. რუსეთი არამც თუ სრულიად დაკარგულია ევროპისათვის, არამედ მთელ ქვეყნიერებისათვის. ამიტომ მიუხედავათ ყოველგვარი დაბრკოლებისა, ჩვენ ვცდილობთ უზრუნველვყოთ მშვიდობიანობა და ვფიქრობთ ამ მიმართულებით გავაგრძელოთ ჩვენი ცდა, შეგნებული გვაქვს რა ის საფრთხე, რომელიც რუსეთში ანარქიის გამეფების შემდეგ მთელ ქვეყნიერებას მოელის.

ირლანდიის ჰომრული.

ლიონი. (რადიო) ბრიტანეთის თემთა პალატამ მეორეთ წაკითხვის დროს მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი ირლანდიის ჰომრულის შესახებ. კანონ-პროექტი გავიდა 156 ხმით 76 წინააღმდეგ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქ ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის სახლის დარბაზში დანიშნულია პროფ. კავშირებში მომუშავე პარტიულ ამხანაგების თათბირის გაგრძელება.**

◆ **შრომის ბეგარა.** თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან დაარსდა კომისია, რომლის მიზანია შრომის ბეგარის კანონის ცხოვრებაში წესიერად გატარება. კომისია ყოველ დღე (უქმე დღეების გარდა) 10 საათიდან 11 საათამდე იძლევა პროფესიონალურ კავშირთა წევრების შესახებ ცნობებს.

◆ **მასწავლებელთა საყურადღებოთ.** 1921 წლის იანვრის 9-ს, ქალ. თფილისში დანიშნულია სრ. საქ. მასწ. დელეგატების მე-2-ე ყრილობა. ამავე დროს გამართება მასწავლებელთა კოოპერატივის „უნივერსალის“ რწმუნებულთა კრება. როგორც დელეგატი, ისე რწმუნებული უნდა აირჩეს 50 წევრზე ერთი და მიეცეს შესაფერი მანდატი. კოოპერატივის რწმუნებულის მანდატში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ის არჩეულია ერთი წლით. შეიძლება ორივე მანდატი მიეცეს ერთ პირს.

◆ **სატარიფო პალატის მუშათა სექციაში** პროფ. კავშირთა საბჭომ ამოირჩია გ. მაშუკელი და ერზიკიანცი.

◆ **მეტრიული სისტემის შემოღე**
ტექნიკურ ძალთა თფილისის კავშირ
სხდომაზე მოისმინეს მოხსენება საქა
თველოში მეტრიული სისტემის შემ
ღების შესახებ. მიიღეს რეზოლიუცი
რომლის თანახმად საქართველოში და
ყოვნებლივ შემოღებულ უნდა იქნ
ზომისა და საწონის მეტრიული სი
ტემა, როგორც უფრო სადა და გავ
ცელებული სისტემა. ახალ სისტემას
მოიღებენ საზოგადოებრივ და სახე
წიფო დაწესებულებებში 1 წლის გ
მავლობაში, მოქალაქეთა შორის კი
წლის განმავლობაში.

◆ **მიწად-მოქმედების სახალხო გ**
ყოფილებაში შედგა შეთანხმებ
ეფეცერთა ეკონომიური საზოგადოებ
სა და ცენტრალური ბანკის თაიანთ
და თელავის მაზრის ტყის საექსპლოატ
ციოთ იჯარით გაცემის შესახებ. ს
ყეო განყოფილებამ მიიღო ზომები
მოჭრილ ტყის რაოდენობის გამოსარკ
ვათ. ამასთანავე დაადგინა პირ
რიგში დაიკმაყოფილონ ადგილობრ
მეღვინეთა და სახელმწიფო სარდა
ბის მოთხოვნილება.

◆ **საქართველოს კალენდარი.** რ
დაქციამ მიიღო სახელმწიფო ქაღალდ
ბის დამზადებელ ექსპედიციის გამ
ცემა—„საქართველოს კალენდარი“,
დგენილი ექსპედიციის მხატვრის
შარლემანის მიერ.

◆ **მეტყევეთა პროფესიონალურ**
კავშირის გამგეობა პირველ და მეო
სამილიციო უბნების საზოგადოებრ
მომუშავე კავშირის წევრთა საყურა
ღებოთ აცხადებს, რომ პარასკევს,
დეკემბერს საღამოს 6 ს. კავშირის
ნაზე მოწვეულია პირველ და მეო
რაიონების სახელოსნოებში მომუშავე
საზოგადო კრება. გასარჩევია ფრიად
ყურადღებო საკითხები. ამხანაგებს სა
ვენ აუცილებლად დაესწრონ.

◆ **გაქურდვა.** თფილისის სადგურის
ქანზე სევასტი მიხარბეგის ძე რამი
ლის პორთფელი სხვადასხვა საბ
მრავალი საბუთებით. პატრონს შეუძ
მიიღოს დიდუბეში. გორის ქუჩა, №
ფილიპე ვაშაკიძესთან.

ქრონიკ

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს ს
6 საათზე ქალაქის საბჭოს დარბა
დანიშნულია თფ. მუნიციპალურ მ
მოსამსახურეთა დელეგატების საბ
ყრილობის გაგრძელება.

— ახალგაზრდა მარქსისტთა მ
რაიონული კოლექტივის საწრო
სხდომა დანიშნულია დღეს საღამოს 6

პროვინციის ქრონიკ

ოზურგეთი. 25 დეკემბერს ოზურგ
ში დანიშნულია გურიის ს. დ. სამაზ
კომიტეტის სხდომა, რომელიც აირჩ
პრეზიდიუმს და გაარჩევს მნიშვნე
ვან საკითხებს. წევრთა დასწრება
ცილებელია. **პრეზიდიუმ**

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

„რაზვერსტკა“. ცირკულიარული
წერილობა რ. ს. ფ. ს. რ. სასურს
კომისრის ნაზრანის ყველა სოფლის
პოლკომებს და ნაზრანის ოლქის დ
ზადებელ პუნქტების გამგეებს.
სახალხო სასურსათო კომისარია
გაწერის თანახმად 1920—1921 წ
ზრანის ოლქმა უნდა ჩააბაროს, სა
მწიფოებრივ ბეგარის წესით და მ
ცე ფასებში, 1920 წ. 15 აგვისტო
1921 წ. 15 აგვისტომდე, შემდეგი
რსათ-სანოვაგე: 1) პური—500,000
2) თივა და ჩალა—16 ფუთი თვით
დათესილ დესეტინიდან—სულ 270
ფუთი, 3) კვერცხები—333,000 ც
4) გადამდნარი ერბო—1,500 ფ.
—2000 მან. დამზადებული ხორ
70,000 ფ, ფუთი ცოცხალი საქონ
150 მანეთის კვალობაზე.
ყველა ამის დამზადებას ეხლავე
შეუდგნენ და გაატარონ ისინი ი
ანგარიშით, რომ 30 % პურის სა
რაოდენობისა მცხოვრებლებმა ჩააბა
პროდკომის მიმღებ-დამზადებელ პ
ქტებს არა უგვიანეს 15 ნოემბრისა
ლო გაწერილი თივის 40% ამა
1 ნოემბრამდის.
დამზადება მოხდება თერგის ოლ
სათვის დაწესებულ მტკიცე ფა
მიხედვით. სახელდობრ, ქვავი (პ
60 მან. ფუთი, ყვითელი ლობიო
მან. ფუთი, ფეტვი—45 მან. ფ
ხორბალი—75 მან. ფუთი, ქერ
ფუთი, უგრეხელი—60 მან., ც
საუკეთესო—75 მან., სიმინდ
მანეთი, ცერცვი უბრალო—70 მ
შვრია—50 მ.ნ., მწვანე ცერცვი
მან. ოსპი—70 მან., თივა—64 მან.
ლა—50 მან. თუ პურის ღირებუ
რი იქნება იმისათვის წესდება
დაკლებული ფასები.
იმ სურსათ-სანოვაგის, რომელი
წერის ძალით უნდა გამოიღონ ნა
ნის ოლქის მცხოვრებლებმა, ო
სხვადასხვა სოფლებ შორის გან
ლებლათ, და აგრეთვე დამზად
პუნქტების მოსაწყობათ და მათ
ლების მისაწერათ—პროდკომის
15 სექტემბერს დილის 10 ს. კ
დანიშნულია პროდკომის თათბირ
ლა სოფლის ისპოლკომების, წარმ
გენლებთან, თავმჯდომარეებთან ხ
მოადგილეებთან, საოლქო ისპოლ
ოლქის მილიციის, ოზპროდკომის
მომადგენლებთან და ამ პრო
დამმზადებელ პუნქტების გამგ
ერთად.
ამიტომ, პროდკომი წინადადება
ლევა უსათუოდ ჩამოვიდნენ ამ თათ
ზე, რომელსაც აქვს დიდი სახელ
ფოებრივი მნიშვნელობა და

ლონ თან ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენია თქვენს სოფელში (საზოგადოებაში) მიწა პურით დათესილი, და რამდენ ფუთ მარცვალს იძლევა დესეტინა, და აგრეთვე, რაოდენობა ხარების ძროხების, ცხვრების და შინაურ ფრინველების—ქათმების, ბატების და სხვების.

ვინც თავის დროზე არ გამოცხადდება ამ თათბირზე, და არ წარმოადგენენ აღნიშნულ ცნობებს წერილობით ან და წარმოადგენენ ტყუილ ცნობებს—გადაეცემიან რევტრიბუნალის სასამართლოს. („ვ. გ.")

რუსეთის რკინის გზები. პარიზის გაზ. „ინფორმასიონი"-ს ცნობით, რუსეთსა და ამერიკას შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლა დაიწყება 1921 წ. პირველ იანვრიდან ამერიკის ბანკების წარმომადგენელ კანდელრიპთან (რომელმაც ამერიკის კონცესიონერების სახელით ხელი მოაწერა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებას) მოლაპარაკების დროს, ინჟ. პროფ. ლომონოსოვმა განაცხადა, რომ რუსეთში ნორმალური რკინის გზის მიმოსვლა დაიწყება არა უადრეს 1925 წლისა.

დაღესტნის „დამოუკიდებლობა". მუსტაფა ქემალ ფაშამ, როგორც ვიცით, გაუგზავნა რადიო ლენინს იმ „დამოუკიდებლობის" გამო, რომელიც ვითომ და მიანიჭა დაღესტანს ლენინმა, სადაც ის სინანულს გამოსთქვამდა ამ აქტის გამო. ამის შესახებ „ვოლნი გორეცი" სწერს: „მუსტაფა ქემალმა ძლიერ დაჩქარებით გადაუხადა მადლობა ლენინს დაღესტნის „დამოუკიდებლობის" გამო. დაღესტანი არამც თუ არ სარგებლობს დამოუკიდებლობით, არამედ მას არ აქვს ავტონომიაც კი, თუმცა იგი გამოცხადებულია „ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკათ".

დაღესტნის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკათ გამოცხადებამ არ შეიტანა არავითარი ცვლილება ამ კუთხის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველაფერი ძველებურათ დარჩა. მუსტაფა-ქემალ ფაშისათვის მეტი არ იქნებოდა გაეგზავნა მუსულმანურ განაპირა ადგილებში სერიოზული და დაკვირვებული პირნი, რომლებიც გაიცნობდენ საბჭოთა რუსეთის მუსულმანურ რესპუბლიკების ცხოვრებას, და ვფიქრობთ, რომ ასეთ დათვალიერების შემდეგ, რადიო მუსტაფა-ქემალ ფაშისა ლენინის მიმართ რამოდენიმეთ სხვა შინაარსისა იქნებოდა. „შუბი ხალთაში არ დაიმალება", ადრე თუ გვიან საბჭოთა რუსეთის მუსულმან მცხოვრებთა ნამდვილი მდგომარეობა ნათელი გახდება იმ მუსულმან ერებისათვისაც, რომლებიც ეხლა მზათ არიან იდეალურათ უყურონ საბჭოთა რუსეთის განმათავისუფლებელ მისიას აღმოსავლეთში".

მუშების „გამოკვება" და მრეწველობის „აყვავება". პროფსოიუზების მე 5 სრულიად რუსეთის კონფერენციაზე წარმოების მდგომარეობისა და პროფესიონალურ მოძრაობის მიზნების შესახებ მოხსენება გააკეთა რიკოვმა, რომელიც შეეხო რა მუშათათვის მომარაგების საქმეს, სთქვა შემდეგი: 47 პროც. ყველა შეკავშირებულ მუშებისა სარგებლობენ ეგრეთ წოდებულ „ჯავშნიან სასურსათო ფონდიდან", დანარჩენი 53 პროც. კი ოფიციალური ცნობების თანახმად, განიცდიან სასტიკ გაჭირვებას. იმ მუშათა საერთო რიცხვიდან, რომლებიც ღებულობენ დახმარებას „ჯავშნიან ფონდიდან", 15—20 პროც. მუშებისა არ ღებულობენ სურსათს სხვადასხვა მიზეზების გამო. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წარმოების ადგილებში სურსათ-სანოვაგის დარიგება ხშირათ არ შეესაბამება წარმოების მიზნებს. სურსათ სანოვაგეს იძლევიან რამდენიმე დღისას და ზოგჯერ რამდენიმე თვის წინათ, რაც საერთოდ ხელს უწყობს მუშების მუშაობაზე არ მოსვლას.

შემდეგ, ეხება რა დონის რაიონს, რიკოვი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ დონის რაიონის წარმოება იძლევა მხოლოდ 30 პროც. იმისას, რასაც იძლეოდა წინეთ და თუ მიღებულ იქმნა მხედველობაში ის, რომ წარმოებას, კერძოთ მძიმე ინდუსტრიას, წინათ დონის რაიონით ედგა სული,—მაშინ ცხადი გახდება, რომ მის (წარმოების) აღდგენის შესახებ ლაპარაკი დღეს ძნელია. („ვლასტ სოვეტოვ" № 210).

„წითელ" სომხეთში

„სოვეტიზაციის" შემდეგ. სომხეთის სოვეტიზაციის შემდეგ ახალი მთავრობის წინაშე მწვავეთ დადგა საკითხი ალექსანდროპოლის ხელშეკრულების შესახებ. და აი, სომხეთის რევკომმა გადასდგა შესაფერი ნაბიჯი და განუცხადა ოსმალებს თავისი აზრი ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ, რაც გაამაგრებდა ახალ მთავრობას და ასწევდა მის ავტორიტეტს ხალხის თვალში. ოსმალეთის წარმომადგენლებმა ამაზე უპასუხეს, რომ ზავის პირობები ნაკარნახევია არა შურის ძიების გრძნობით სომხებისადმი, არამედ—გამომუშავებულია საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით და ამიტომ არავითარი წინადადება მათი შეცვლის შესახებ არ შეიძლება მიღებულ იქმნეს მხედველობაში მანამდის, სანამ არ გამოინახება უფრო მნიშვნელოვანი საბუთები. აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს ოსმალებმა გაკვირვება გამოსთქვეს ნახიჩევანის სომხეთისათვის გადაცემის გამო, ეს საკითხი ზავის პირობებით უნდა პლებისციტით გადაწყვეტილიყო. ასე მათი აზრით დაირღვა ელემენტარული მოთხოვნილებანი ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპისა. („ვ. გ.")

„წითელ" ადერბეიჯანში

მეთერთმეტე არმია და ნარიმანოვი, ამ ბოლო დროს ბაქოში გაძლიერდა სახლების ჩხრეკა და რეკვიზიციები. ამათ დაზარალდნენ უმთავრესად მუსულმანები. აღელვებული მუსულმანები შეიკრიბნენ მეჩეთში და მოიწვიეს ნარიმანოვი, რომელსაც შესჩივლეს თავისი მძიმე მდგომარეობა. „თუ თქვენ არაფრის მოცემა არ შეგიძლიათ,—ნუ წაიღებთ მაინც იმას, რაც ჩვენა გვაქვს." შესჩივლეს ნარიმანოვს.

ნარიმანოვმა განაცხადა, რომ მან ნებადართო რეკვიზიციების მოხდენის იმიტომ, რომ არ გაემწვავებინა დამოკიდებულება მეთერთმეტე არმიასთან. სხვანაირათ, მეთერთმეტე არმია სულ ერთია მოახდენდა ამ რეკვიზიციებს და ჩხრეკას, თვითონ ნარიმანოვის დაუკითხავათ და მაშინ ის იძულებული იქნებოდა სამსახურიდან წასულიყო, რაც უფრო გააუარესებდა მუსულმანების მდგომარეობას.

თავდაცვის ფონდი

კვირას, 19 დეკემბერს, სასახლეში (ოთახი № 29) შესდგა თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: თავმჯდომარე ბ-ნი ა. ჩხენკელი, ნ. ელიავა, დ. აბხაზი, ვ. ხახანაშვილი, ანტ. ჭორჭოლიანი, ი. გობეჩია, გ. გვაზავა, ი. სტურუა, ს. ჭორჭოლიანი, ტერ-სტეფანიანი. ბ-ნი ჭორჭოლიანის მოხსენების შემდეგ პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ განხილულ იქნა მორიგი საკითხები, რომელთა შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი.

სახელმწიფო ბანკისა და მთავარი გამგეობის მუშაობის შეთანხმებისათვის შემდეგში, საჭიროებისამებრ, მოწვეულ პრეზიდიუმისა და გამგეობის სხდომებზე ბ-ნი სამსონ კილაძე, რომელიც სახელმწიფო ბანკში განაგებს შემოწირულებათა საქმეს. საკვიტანციო წიგნაკები გაეგზავნოს ყველა იმ ცენტრალურ დაწესებულებას, რომელნიც შემოდიან მთავარ გამგეობაში—ქალაქთა კავშირის, ერობათა კავშირის, ქალ. თფილისს, სავაჭრო პალატას და სხ., რომელნიც შემდეგ საკვიტანციო წიგნაკებს დაუგზავნიან ადგილობრივ ფონდის ორგანიზაციებს. კრებაზე საბოლოოთ დამტკიცებულ იქნა წესი შემოწირულების მიღებისა და კვიტანციის გაცემისა. ქალ. თფილისი გამოყოფილ იქნა ცალკე ერთეულად და ქალაქის გამგეობას მიენდო შემოწირულებათა შეგროვების ორგანიზაცია თფილისში. ამ მიზნით გეგმის გამომუშავებლად ოთხშაბათს, 22 დეკემბერს, მთავარი გამგეობის ბინაზე დანიშნულია გამგეობის პრეზიდიუმისა, საფინანსო სექციის და ქალ. გამგეობის წარმომადგენლების შეერთებული სხდომა, რომელზედაც აგრეთვე იქნება განხილული საკითხი თფილისში „ფონდის კვირის" მოწყობისა. პრეზიდიუმის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რესპუბლიკის დიდ პუნქტებში—ბათომში, ქუთაისში, ჭიათურაში, სამტრედიაში და სხ. უკვე დაარსებულა ფონდის გამგეობანი, რომელნიც მუშაობას უკვე შესდგომიან და როგორც ცნობები მოდის, შემოწირულებანი უხვად იკრიბება.

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

კონსტიტუციის შესახებ საერთო მსჯელობაზე გადასვლამდე დამფუძნებელმა კრებამ მიიღო: საბოლოო ტექსტი წინა სხდომაზე მიღებულ დეკრეტისა და დეკრეტი ფოსტა ტელეგრაფის შინაგანი კორესპონდენციის ნიხრის გადიდების შესახებ. დეკრეტის ძალით უბრალო წერილის გადაგზავნა ეღირება ნაცვლად 4 მანეთისა 10 მან. დეპეშით თითო სიტყვის გადაცემა—ნაცვლად 4 მანეთისა 10 მან. ამის შემდეგ კრება შეუდგა კონსტიტუციის განხილვას.

გ. გვაზავა (ნ.-დ.) მეორეჯერ ლაპარაკობს კონსტიტუციის შესახებ. ის, ეკამათება რა ლ. შენგელაიას, ამბობს: აქ შენგელაიამ აღნიშნა, რომ ჩვენს კონსტიტუციაში აღბეჭდილი უნდა იყოს ორი მოვლენა: რუსეთის დიდი რევოლიუციის აღმაფრენა და 26 მაისი. მე კი მგონია, რომ ამ ორი მოვლენის შეთავსება—შეთანხმება ყოვლად მიუღებელია.

რას ნიშნავს, ბატონებო, რუსეთის რევოლიუციის აღმაფრენა? რას გულისხმობენ ესერები ამ სიტყვების ქვეშ? საჭიროა ფრჩხილების გახსნა. ბატონებო, ესერები კმაყოფილდებიან რუსეთის ტერიტორიის ფარგლებით. თუ პერსპექტივებზე არის ლაპარაკი, მაშინ ეს პერსპექტივები უნდა გავშალოთ და ევროპის ფარგლებში გადავიტანოთ. თუ ჩვენ ასეთ გზას დავადგებით, აშკარად დავინახავთ ორ სხვადასხვა სახის და ხასიათის მიმართულებას. რუსეთის რევოლიუციის აღმაფრენა გამოიხატება ბოლშევიკურ მოძრაობაში, უკანასკნელი კი არის დაგვირგვინება ანარქიისა და ტირანიისა, ევროპის მოძრაობაში კი ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგ მოვლენას: ერების განთავისუფლებას და მათ შეკავშირებას ერთა ლიგის სახით. ბოლშევიკური მოძრაობა კი უარყოფს ეროვნულ თავისუფლებას. იგი ვერ ითვისებს პრინციპს ერთა თვითგამორკვევისას. ამნაირად არის ორი პრინციპი: პრინციპი ძალმომრეობისა და თავისუფლებისა.

ევროპის მიმართულება არის დასერილი ვერტიკალური ხაზებით. იგი მოითხოვს ერების განთავისუფლებას; რუსეთის მოძრაობა არის ჰორიზონტალური, ეს ჰორიზონტალური ტალღა გაქრობით და განადგურებით ემუქრება მთელ კულტურას, ერის ნებისყოფას და სწრაფვას. ამ ორი ტალღის შეტაკება მოხდა პოლონეთის საზღვრებთან. პირველი იღებს სახელმწიფოებრივ აღნაგობის პრინციპს, მეორე კი მისი უარყოფაა. გაიმარჯვა სახელმწიფოებრივი აღნაგობის პრინციპმა.

და მართლაც, რევოლიუციის დროს შეიძლება წამოყენებულ იქნას ისეთი იდეები, რომლის გამოხატვა კონსტიტუციაში დაარღვევდა თვით კონსტიტუციას. ამას ამტკიცებს თუნდაც საფრანგეთის მაგალითი. იქ რევოლიუციის დროს 4 წლის განმავლობაში 3 კონსტიტუცია შემუშავდა და სამივე დაირღვა. შემდეგ ორატორი, ეკამათება რა ნ. ჟორდანიას, აღნიშნავს, რომ ის დიდი პიროვნებაა, დიდი გავლენაც აქვს ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაზე და ამიტომ მის სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. აქ ნ. ჟორდანიამ წამოაყენა დებულება, რომ კონსტიტუცია შედეგია საზოგადოებრივი ძალთა განწყობილებისა; ეს არ არის მართალი. ეს დებულება წინეთ ლასალმა წამოაყენა; მაშინ ამ დებულებას ფასი ჰქონდა, ვინაიდან მაშინ საზოგადოების ნაწილი უუფლებო იყო და თავის უფლებებისათვის იბრძოდა. ახლა კი ეს პრინციპი დაძველებულია. მით უმეტეს ეს პრინციპი არ გამოდგება საქართველოში, ვინაიდან ჩვენში ასეთი მდგომარეობა არ არის,—აქ საარჩევნო უფლება ყველას აქვს. ამიტომ შეუძლებელია, რომ კონსტიტუციამ გამოხატოს რომელიმე კლასის ნებისყოფა, მან უნდა გამოხატოს ეროვნული ნებისყოფა. შემდეგ ბ. ჟორდანიამ ერთმანეთს დაუპირდაპირა პარლამენტარიზმი და დემოკრატიზმი; მე კი მგონია, რომ ასეთი დაპირდაპირება არ არის სწორი. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ძველად შეიძლებოდა ასეთი დაპირდაპირება, მაგრამ ევროპაში თანდათან მოხდა პარლამენტარიზმის დემოკრატიზაცია.

შემდეგ ორატორი ეხება პრეზიდენტის საკითხს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ პრეზიდენტი არ არის პარლამენტარიზმის ღვიძლი შვილი, მას არავითარი ნათესაური კავშირი არ აქვს პარლამენტარიზმთან, ის არც მეფის აჩრდილია, როგორც აქ კ. ჯაფარიძემ სთქვა; ის არის ეროვნული აუცილებლობისაგან გამომდინარე მოვლენა. ამიტომ პრეზიდენტული სისტემა ბუნებრივია და მიღებულ უნდა იქნას.

შემდეგ ორატორი ეხება კონსტიტუციის გარანტიებს და იმას, თუ ვინ უნდა განმარტოს,—ეთანხმება თუ არა კანონი კონსტიტუციას და ასკვნის, რომ კანონის განმარტება—ეს არის უფლებრივი ფუნქცია და უნდა ეკუთვნოდეს სასამართლოს, სენატს.

შემდეგ ს. დემ. ფრაქციის სახელით ლაპარაკობს რ. არსენიძე რომლის სიტყვას ვრცლად შემდეგ დავბეჭდავთ.

სახელმწიფო და ეკლესია

დიდი ხანია, რაც მოწინავე დემოკრატიამ იგრძნო ის საშიშარი პოლიტიკა, რომელსაც ეკლესია აწარმოებდა მრავალი საუკუნოების განმავლობაში, რეაქციის გასამაგრებლად და მშრომელი დემოკრატიის დასამონებლად.

სამღვდელოების ყოველივე მუშაობა ამ მხრივ იყო მიმართული, მაგრამ მათმა ლოცვა-კურთხევამ მიზანს ვერ მიაღწია, მათი სულის ჩამდგმელი რეაქციაც დაემხო მათ და საუბედუროდ და დემოკრატიის დიდმა ნაწილმაც გაიგო თუ ვის ემსახურებოდა სამღვდელოება.

რევოლიუციის შემდეგ, შეგნებული ჩვენი დემოკრატია, ყოველ დღე მოელოდა ახალ კანონს, რომელიც საშვალებას მისცემდა ხალხს სამღვდელოების ბრჭყალებიდან თავი დაეღწია, რაც სამწუხაროდ დღემდის კიდევ ვერ მოხერხებულა. ამ გარემოებამ შეგნებული (ნაწილი) დემოკრატია უხერხულ პირობებში ჩააყენა. რადგან ჯერ სხვა საშვალება ვერ ჰპოვა, იძულებულია ისევ სამღვდელოებას მიმართოს სიკვდილისა თუ სიცოცხლის საჭიროებისათვის, რაც მძიმე ტვირთად აწევს კისერზე ისედაც გაჭირვებულს ხალხს. უბრალო მოწმობა ან მეტრიკული ამონაწერისთვის მთელი უბედურება ხვდება მსურველს მღვდლებისგან; ამ კითხვის დაყოვნება, როგორც ამხ. ლომთათიძემ აღნიშნა 12 დეკემბერს ნაძალადევში მოხსენებაზე, სწორედ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ კითხვის დაგვიანება იწვევს რყევას დემოკრატიაში, და მეორეს მხრით საშვალებას აძლევს გაბოროტებულ სამღვდელოებას განაგრძონ სახელმწიფოსა და დემოკრატიის საზარალო საქმეები. გელათის მაგალითები კარგა ხანი ხდებოდა.

მიუხედავად იმისა რომ ამ კითხვის გადაჭრა, სხვა და სხვა ჯურის რეაქციონერებში გამოიწვევს უკმაყოფილო ჩხავილს, ჩვენი შეგნებული დემოკრატია არ შეუშინდება მათ დრო მოჭმულ ჩხავილს, და სწორი გზიდან უკან არ გაბრუნდება.

გურული მუშა.

თამბაქოს მონოპოლია

(დასასრული).

3) „ამ ბოლო დროს მონოპოლიის არსებობასთან ერთად სხვადასხვა პირებს ეძლევათ ნებართვები საზღვარ-გარეთ თამბაქოს გატანისა, რაც ნიადაგს აცლის მონოპოლიის იდეას და ჰქმნის ცუდ შთაბეჭდილებას სამინისტროს წარმომადგენლების შესახებ და ამავე დროს ჰქმნის პირობებს უსამართლოთ თვითნებობისთვის" (იგულისხმე—ბოროტმოქმედებისთვის).

აქ ჩვენ ვხედავთ ისევ დიპლომატიურ ქარაგმას. მოხსენების ავტორებს მშვენივრათ უნდა მოეხსენებოდეთ 15 ივლისის კანონი, რომლის ძალითაც ძველი თამბაქოების მეპატრონეთ მომარაგების სამინისტროს ნებართვით ნება ეძლევათ 3.000 მანეთიანი ბაჟის გადახდით გაიტანონ თავისი თამბაქო. ეს კანონი ჰგულისხმობდა ლიკვიდაციას მონოპოლიამდის დაგროვილი თამბაქოსი. დედა აზრი მოხსენების ამ ადგილისა გამოიხატება უწყინარი ფორმით, მაგრამ მრავალ მნიშვნელოვნათ გამოთქმულ ფრაზაში: „ჰქმნის ცუდ შთაბეჭდილებას... და ამავე დროს ჰქმნის პირობებს უსამართლო თვითნებობისთვის". ჩვენ კარგათ გვესმის ამ ქარაგმის აზრიც და მიზანიც—აღმასრულებელ ძალთა ლანძღვა-დამცირებით დასცენ ძირს თვით პრინციპი. მაგრამ მთავრობას და დამფუძნებელ კრებას, რომელმაც მიიღო ეს კანონი, ჰქონდათ თავისი მოტივები და მოსაზრებანი, რომლებიც დაედო საფუძვლად ხსენებულ კანონს და, რასაკვირველია, მათ არ შეეძლო-ეხელმძღვანელათ ერთი დაინტერესებული ჯგუფის მოსაზრებებით. ეს ჯგუფი მოხსენების ნაჩვენებ ადგილში დიპლომატიურად პროტესტს აცხადებს ძველი თამბაქოს ბაჟით გაშვებაზე, მხოლოდ მოხსენების დასკვნაში თვითონვე გვიკარნახებს ამ სისტემის შემოღებას.

4) „არ ეძლეოდათ მწარმოებელთა თავის დროზე საჭირო სესხი, და არ იყო მომარაგებული მათთვის მეთამბაქოებისათვის საჭირო მასალა... აუცილებელია გადიშინჯოს თამბაქოს ფასები და გაძლიერდეს მისი ექსპორტი".

ამ მუხლის პირველ ნაწილში სიმართლეა გამოთქმული. მართლაც მთავრობამ დაადგინა სესხის მიცემა. მაგრამ მომხსენებლებს არ უნდათ ანგარიში გაუწიონ იმ გარემოებას, რომ თამბაქოს მუშაობის პირველ პერიოდში, მთელი ჩვენი რესპუბლიკის საზღვრები წარმოადგენდა მომქმედს სამხედრო ფრონტს და რომ თვით აფხაზეთსაც ემუქრებოდა სრული განადგურება თავის მეთამბაქოობასთან ერთად.

ავტორებმა კარგად უნდა იცოდნენ, თუ რა მდგომარეობაშია მეთამბაქოობა ბოლშევიკურ ყუბანში და შავი ზღვის მხარეში, ვრანგელის ყირიმში და რასაკვირველია, რომ მთავრობამ მთელი თავისი ყურადღება ამ ფრონტისაკენ მიმართა და მთლად დანგრევას მეთამბაქოების დროებითი გაჭირვება არჩია. ამავე მუხლიდან სჩანს, რომ მის ავტორებს სურთ მწარმოებელი გადააქციონ სრულ პენსიონერად და მოითხოვენ მთავრობისაგან, რომ მან მოუტანოს მას ყოველივე წვრილმანი საჭირო ნივთები. დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ეყრდნობა თავის მოქალაქეთა შეგნებულ თვითმოქმედებაზე და რომელიც უნდა ცდილობდეს ამ თვითმოქმედების გაღრმავებას და გაფართოებას, ვერ გაიზიარებს ავტორების ამ შეხედულებას. მთავრობისვე ინიციატივით იქნა გამოწვეული ცხოვრებაში მწარმოებელთა კოოპერატიული ამხანაგობები; მთავრობა აძლევს მათ სესხს და ეს ამხანაგობები, რასაკვირველია, მთავრობის დახმარებით იზრუნებენ შეიძინონ საჭირო მასალა. მიმდინარე წელს, თუმცა ცოტა დაგვიანებით, მომარაგების სამინისტრომ მიაწოდა მეთამბაქოეთ შპაგატი და მომავალშიაც უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს ეს საქმე, მაგრამ მომავალში თვით კოოპერატივებმა უნდა გამოიჩინონ თვით მოქმედების ინიციატივა.

რეზოლიუციის ნაჩვენებ მუხლის მეორე ნაწილში და ბიუროს მოხსენებაში დაჟინებით მოითხოვენ თამბაქოს არსებული ფასების გადასინჯვას. ავტორებმა კარგათ იციან, რომ 1919 და 1920 წლ. მოსავალზე, ე. ი. იმ თამბაქოზე, რომელიც მწარმოებელთა ხელშია, არავითარი მაგარი ფასები არ არსებობს, რომ კანონიერი კომისია იმუშავებს მხოლოდ თამბაქოს თვით ღირებულებას, რომელიც წინასწარ, თამბაქოს გაყიდვამდის, ნაწილობრივ ეძლევა მწარმოებელს. ამ დღეებში დაათავა მუშაობა შემფასებელ კომისიამ და 1919 წლის მოსავლის ფასი შეიმუშავა. მაშ, რაშია საქმე? ცხადია, ავტორებს მხედველობაში აქვთ ის ძველი თამბაქო, რომელიც ეკუთვნის სპეკულიანტ საწყობების პატრონებს და ზოგიერთ სოფლის წვრილ ჩარჩებს. მაშინ პირდაპირ სთქვან და ნუ ამოეფარებიან მწარმოებლის სახელს. მოვაგონებთ მკითხველს, რომ ხსენებულ პირებს თავისი თამბაქო შეძენილი აქვთ მწარმოებლისგან 50—90 მანეთად ფუთი და ისიც ხშირად ნისიად და დღემდის ზოგიერთებს ანგარიშიც კი არ გაუსწორებიათ.

თუ რამდენათ და რა მიზეზით შეცირდა თამბაქოს მოსავალი აფხაზეთში, ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებით გვქონდა ნაჩვენები „ერთობის" №№ 246 და 248 ში, მოთავსებულ წერილში „შინამრეწველობა და სახელმწიფო მონოპოლია".

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ რა დაკეცილი (**напушкованный**) თამბაქოს სიმცირეს,—ამასაც მონოპოლიას აბრალებენ. ეს განზრახ ცილისწამებაა. თამბაქოს დაკეცვას აფხაზეთში, მცირე გამონაკლისის გარდა, ისიც „ტიაპიზუნის", თავი მიანებეს 1913 –1914 წლებიდან. პირიქით მომარაგების სამინისტრო ხელს უწყობს ამ საჭირო მუშაობას, განსაკუთრებით აფასებს მას თამბაქოს თვითღირებულების გამომუშავების დროს.

მოხსენების ავტორები აბრალებენ მონოპოლიის გამტარებელ პირებს, ვითომც მათ თამბაქო გაიტანეთ საზღვარ-გარედ გადაურჩევლად და საქმის უცოდინრად და ამით გაუსწორებელი ზარალი მიაყენებინოთ მეთამბაქოობისთვის.

ამას ჰქვია—„ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალი". მაშ, მოვისმინოთ ის ფაქტები და ციფრები, რომლებსაც გვაძლევს მომარაგების სამინისტრო ამ საგნის შესახებ. სამონოპოლიო აპარატმა პირველი პარტია თამბაქოსი, რაოდენობით 18 ათასი ფუთი, გაუგზავნა ფინეთის ფირმა „კახმას". ეს თამბაქო გამოდგა ძალიან ცუდი, მხოლოდ დრო და სხვა გარემოებები ვერ ითმინდა ამ თამბაქოს ხარისხებათ დანაწილებას. ეს თამბაქო იყო დამზადებული „სუხუმის პლანტატორთა კავშირის" მიერ მონოპოლიის შემოღებამდის. მეორე პარტია—8 ათასი ფუთი მიეცა ვინმე გეპნერს შაქარში გადაცვლით (1919 წლის ზაფხულის ხელშეკრულობით). ეს თამბაქოც ძალიან ცუდი გამოდგა და დამზადებული იყო იმავე „პლანტატორთა კავშირის" მიერ. ამ ცოტა ხანში „პლანტატორთა კავშირმა" ჩააბარა სამონოპოლიო აპარატს 9,000 ფუთი თამბაქო მონოპოლიამდის დამზადებული. მთელი ეს პარტია გამოდგა დაბალი ღირსების და სულ მეოთხე ხარისხისა, მცირე გამონაკლისის გარდა. ყველა ეს თამბაქო დამზადებულია „სუხუმის პლანტატორთა კავშირის" მიერ მონოპოლიის შემოღებამდის მთავრობის დავალებით და, რასაკვირველია, სამონოპოლიო აპარატს არავითარი მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. შემდეგ ბ-ნ ხოშტარიამ სატრანსპორტო საზოგადოების სახელით გაიტანა სოხუმიდან 25 ათასი ფუთი თამბაქო. ეს თამბაქოც დამზადდა თავისი საკუთარი განკარგულებით საექსპორტო საზოგადოებამ და სამონოპოლიო აპარატს ამაში მონაწილეობა არ მიუღია. აი, ვის დაუმზადებია და გაუტანია ცუდი და ჩვენი სახელის გამტეხი თამბაქო! აი ვის მიუყენებია ზიანი სუხუმის თამბაქოს განთქმული სახელისათვის! აი, სწორედ ამას ჰქვიან—„ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო".

მომარაგების სამინისტროს გაუყიდავი თამბაქო საზღვარ-გარეთ არ გაუტანია გარდა იმისა, რაც მის სახელით „კოსმოსმა" გაიტანა: 25 ათასი სოხუმიდან და 26 ათასი კახეთიდან ფოთის გზით, მაგრამ ეს თამბაქო სამინისტრომ ერთი მეორეზე გაყიდა 3 გირვანქა სტერლინგათ ფრანკო-სოხუმი და ფოთი. იმ დროს, როცა ამ ფასს ლონდონშიაც არ იძლეოდენ. შემდეგშიაც სამინისტროს 3 გირვანქაზე ნაკლებათ არ გაუყიდია თამბაქო. იყო შემთხვევა, როდესაც 8 ათასი ფუთი 7 გირვანქობის ანგარიშზე გადაცვალა საქონელზედ. ყველა ეს ამტკიცებს, რომ სამონოპოლიო აპარატს ცოდნით და უნარით დაუმზადებია უცხოეთში გასასყიდი თამბაქო.

ეს აპარატი იძულებული იყო ყველა თამბაქო მესაწყობეებისაგან მიღებული ხელმეორეთ გადაესინჯა და ახლათ შეეკრა ცალებათ რ. გოკიელოვის და სხვათა ხელმძღვანელობით. მას დიდი ხარჯი გაუწევია მისთვის, რომ სპეკულიანტების მიერ გატეხილი სოხუმის თამბაქოს სახელი აღადგინა და ნაწილობრივ მიუღწევია კიდეც მიზნისთვის. ეხლა ყველა მყიდველი თურმე თხოულობს „მთავრობის დასორტველ" თამბაქოს.

უნდა მიუთითოთ მოხსენების ავტორებს, რომ სოხუმის თამბაქოს სახელი გაუტეხა 1919 წელში კერძო პირთაგან და ზოგიერთ დაწესებულებების მიერ გატანილმა უვარგისმა თამბაქომ, რომლებიც მოუწევრობის გამო გზაშივე გაფუჭდა—ჩახურდა და დაიწვა, და უმთავრესათ იმ 400 ათას ფუთმა თამბაქომ, რომელიც ვრანგელის ყირიმიდან და შკუროს შავი-ზღვის მხრიდან გაიტანეს მტაცებლურათ. ეს აუარებელი თამბაქოს რაოდენობა, თავის ღირსებით ბევრათ უფრო მდარე სოხუმის თამბაქოსთან შედარებით, გაიყიდა სოხუმის თამბაქოს მარკით და ამ გარემოებას არ შეიძლებოდა გავლენა არ ჰქონოდა თამბაქოს უცხოეთის ბაზარზედ. დღეს ევროპის ბაზარიც უკვე გამოერკვა ამ დეტალებში. თამბაქოს ბაზარს ეტყობა გამაგრება და შორს არ არის ის დრო, როდესაც სოხუმის თამბაქო დაიჭერს შესაფერს ადგილს უცხოეთის ბაზარზედ. და თუ დაუშვებთ ახლო მომავალში რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას, მაშინ სოხუმის თამბაქო ვერც კი დააკმაყოფილებს მასზედ მოთხოვნილებას. ამიტომ ჩვენის აზრით მომარაგების სამინისტრო ვერ აჩქარდება მოხსენების ავტორებით და ვერ გადაჭრის თამბაქოს სადღეც მოხვდება და ვისაც მოხვდება.

რამოდენიმე სიტყვა თამბაქოს მავნებელ პეპელაზე.

ეს პეპელა არა-სასურველი და მავნე მტერია ჩვენი თამბაქოსი, მაგრამ არც იმდენად, როგორც ამას მომხსენებლები აზვიადებენ. ეს პეპელა ახალი არ არის ჩვენში და არც სხვაგან, ის წინადაც იყო. მის წინააღმდეგ ზომებია საჭირო. იმედი გვაქვს, რომ მომხსენებლები და შ. დაროვი ამ პეპლის გაჩენასაც მონოპოლიას არ დააბრალებენ.

მომხსენებლები ამბობენ, რომ სოხუმში არსებული სომხეთის საკონსულოსთან სწარმოებს მუშაობა, რათა მონოპოლიისგან დაჩაგრული სომხები ამერიკაში გადაასახლონო.

ჩვენ არ ვიცით, რას მოიფიქრებენ ზოგიერთი უსაქმოდ დარჩენილი ავანტიურისტი სომეხი სპეკულიანტები. გზა მშვიდობისა დაგვილოცნია ამ გასტროლიორებისათვის, მაგრამ მშრომელი სომეხი მწარმოებელი მათ არ გაჰყვება. ძალიან ნათლად დაინახეს მათ ის გაკვეთილები, რომელიც მიიღო მოტყუებულმა ბერძნის გლეხობამ.

ჩვენ ვამბობთ, რომ ამ დროულათ მონოპოლიის მოხსნა და თამბაქოზე თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადება, როდესაც ერთის მხრით მეთამბაქოეთა ამხანაგობები არ გამაგრებულან და მხოლოდ, მეორე მხრით, ვაჭრობის მაგივრათ უმაგალითო სპეკულიაცია გამეფებული, საბოლოოდ დაჰლუპავს მწარმოებელს და დასცემს როგორც ჩვენს მეთამბაქოობას, ისე მთავრობის პრესტიჟს ხალხის თვალში.

ჩვენმა მთავრობამ უნდა განაგრძოს აღებული გზით სვლა. მან უნდა გამონახოს სახსარი მეთამბაქოობის, ამ მაღალი კულტურის მეურნეობის ასაღორძინებლათ თუ არა, დასაცვად მაინც. ჩვენი ქვეყნის მდიდარი მიწა წყალი არ უნდა სცდებოდეს დაბალი კულტურის მეურნეობით. ჩვენი ქვეყნის აყვავება უნდა მოხდეს მაღალი კულტურის მეურნეობის საშუალებით.

ი. ყ.

დაღესტნიდან გამოსული ქართველების წერილი

სეფე სიხარულიძის (ჩოხატაური) და სანდრო ჯაფარიძის (ონი) ხელმოწერით რედაქციამ მიიღო ვრცელი წერილი, სადაც აწერილია, თუ რა გადახდა თავს ქართველების ერთ ჯგუფს დაღესტნიდან გამოსვლისას.

უადგილობის გამო წერილს სრულად ვერ ვბეჭდავთ, მაგრამ ეს დაბრკოლებაც რომ არ გვქონებოდეს, ის იქნებოდა განმეორება იმისი, რაც არა ერთხელ ყოფილა დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში: აბუჩად აგდება ქართველებისა საბჭოთა რუსეთის იმ ადგილებში, რომლებიც თავიდანვე „გაწითლებულნი" იყვნენ, ან დროთა ვითარებაში „გაწითლდნენ".

წერილში დაწვრილებითაა მოთხრობილი, თუ როგორ მიერეკებოდნენ სამშობლოში დაბრუნების მსურველ ქართველებს „რევკომიდან" „ჩეკაში", თემირხანშურიდან დერბენტ—პეტროვსკში და სხ. მოთხრობილია დაცინვა-დამცირების შემთხვევები და სხ.

მოგვყავს წერილიდან მხოლოდ შემდეგი ადგილი:

„როგორც იყო, პეტროვსკის „ჩეკამ" ორი კვირის წვალების შემდეგ კეთილ ინება და მოგვცა ნებართვა. გამოვედით თემირ-ხანშურიდან და პეტროვსკიდან; საბუთები ბალაჯარით ფოილომდე იყო გაკეთებული, მხოლოდ ჩვენ, ვისაც ჯგუფის ხელმძღვანელობა გვქონდა მინდობილი, წავედით ბაქოში, ბალაჯარიდან, რომ ჩვენი კონსულიდანაც გვქონოდა წასვლის ნება და ან თუ სხვა რომ საბუთები იყო საჭირო ამის გასაგებათაც. კონსულმა ჩვენსავე საბუთებზე წააწერა: დაღესტნიდან მოდიან ქართველები და გთხოვთ დაუბრკოლებლივ გაუშვათო. მოვედით ფოილოში, წარვუდგინეთ განსაკუთრებულ განყოფილებას ჩვენი საბუთები, რომელმაც არ ცნო საკმაოდ და გვითხრა, რომ თქვენ საქართველოში გასვლის ნება უნდა გქონდეთ მიცემული ბაქოს განსაკუთრებულ განყოფილების უფროს პანკრატოვისაგან (მე-11 არმ.) რომელსაც ჩვენ ვემორჩილებითო და არა დაღესტნის ჩეკასაგანო. ასე 90 სული ბავშვებითურთ დაგვყარეს ცის ქვეშ ფოილოში წყლის პირად. ბევრი ავადმყოფი იყო. გამოგვიცხადეს, წადით ბაქოში „პრომპუკისთვის". ამ დროს თფილისიდან ბაქოს მიდიოდნენ ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია და ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა კომისარი ჰუსეინოვი, ჩვენი მდგომარეობა მოვახსენეთ ალშიბაიას, რომელმაც ჩვენ თვალწინ მოიწვია ჰუსეინოვი და აუხსნა საქმის ვითარება. ჰუსეინოვი შეგვპირდა—ეხლავე მოვახდენ განკარგულებას; ვაცნობებ ბაქოში პანკრატოვს და ხვალ გახვალთ აქედანო, იქვე სადგურის უფროსი დაიბარა და უბრძანა, რომ ჩვენ ვაგონებიდან არ გადმოვესხით. შემდეგ ალშიბაია და ჰუსეინოვი გაემგზავრნენ ბაქოში, ჩვენ ველოდებოდით პასუხს ბაქოდან. განვლო სამ ოთხ დღემ: არავითარი პასუხი არ არის. ხალხი ჩავარდა დიდ გასაჭირში. ყველა გვეუბნება წადით ისევ ბაქოშიო. ჩვენც წავედით. მივედით ალშიბაიასთან და ვთხოვეთ გაეგო რა იყო მიზეზი, რომ ჰუსეინოვმა თავის დანაპირები ვერ შეასრულა. ალშიბაიამ გვიპასუხა: ჰუსეინოვმა აცნობა პანკრატოვს, რომ თქვენთვის გამ-

გზავნა წასვლის ნებართვა, მაგრამ პანკრატოვი არ ასრულებს, როგორც სჩანს. მე უმაღლეს დაწესებულებებში მაქვს საქმე და იქ დამპირდნენ. მგონი საქმე გაკეთებული იყოს. ჩვენი აზრით ეს აიხსნება იმით, რომ ადერბეიჯანში დღეს ორი მთავრობა არის: ადერბეიჯანის „რევკომი" და მეთერთმეტე არმიის განსაკუთრებული განყოფილება. მეორე არ ემორჩილება პირველს.

ჩვენმა მისიამ გაგზავნა ერთი კაცი პანკრატოვთან, მივედით და ვსთხოვეთ შესულიყო ჩვენს მდგომარეობაში: მიეცა გასვლის ნებართვა საქართველოში. ვუჩვენეთ დაღესტანში მიცემული საბუთები. პანკრატოვმა გადმოგვხედა და გვითხრა: თქვენ უჩვენოთ წაბრძანდით არა? მაგრამ თქვენ რომ ფიქრობთ, ის არ იქნება. მერმე, როგორც იყო, ოთხი ხუთი დღის ლოდინის შემდეგ კეთილ ინება და მოგვცა ნებართვა.

პეტროვსკიდან გამოსვლისას ჩვენმა ჯგუფმა შეაგროვა 101,000 მ. ამ თანხიდან იხარჯებოდა სხვადასხვა საერთო მოთხოვნილებისთვის ფული. საქართველოში გამოსვლისას ერთხმად დაადგინა ჯგუფმა, რომ რაც გადარჩებოდა მოგროვილი ფულიდან გადაგვეცა რომელიმე კულტურული დაწესებულებისათვის. ამის სისრულეში მოყვანა მოგვანდვეს ჩვენ. დაგვრჩა დაუხარჯავი 54,000 მან. ჩვენ გადავწყვიტეთ ეს ფული გადაგვეცა რომელიმე სამკითხველოს. ასეთად ვიცანით ონის სამკითხველო, რომელსაც გადავეცით 27,000 მ. დანარჩენი 27,000 მან. გადავეცით სილიბისტრო ჯიბლაძის სახელობის სამკითხველოს სოფ. შუა და ზემო ამაღლებაში, და სოფ. გოგოლესუბნის სამკითხველოს ფარცხმის საზოგადოებაში.

ამას წინად პეტროვსკში შეგროვილი გორის ფონდისთვის 50,000 მ. აქვს გადაცემული პატივცემულ მღ. მიხეილ ჯავაშვილს.

ერობა და ქალაქი

ერობათა კავშირის კომიტეტში გადასწყდა დაარსონ კურსები თემთა მოღვაწეთათვის. ამ კურსების პროგრამა შეთანხმებული იქნება ერობის მუშაობის პრაქტიკულ მოთხოვნილებასთან. თეორიას გაივლიან იმდენს, რამდენათაც ეს საჭირო იქნება პრაქტიკულად გამოცდილების მიღების შესამსუბუქებლად. კურსებზე მიიღებენ პირველ რიგში იმათ, ვინც უკვე მუშაობს ერობაში. მიღებულთა კურსებზე ჩათვლა მოხდება მივლინების სისტემით, რათა ერობებს რაც შეიძლება მოკლე დროში ეყოლოთ აუცილებელი მომუშავენი. კურსები იქნება მოკლე ვადიანი. ფიქრობენ, განათლების ცენზს ყურადღება არ მიაქციონ. მსმენელებს გაანაწილებენ განვითარებისა და სწავლის მიხედვით. ლექციები შეძლებისდაგვარად შეცვლილი იქნება საუბრით კურსების პროგრამაში შეტანილია შემდეგი მთავარი საკითხები: ადგილობრივ თვითმართველობის, ერობათა მეურნეობის, და ერობათა კულტურული მუშაობის საკითხები. სტატისტიკა, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია და აგრარული რეფორმა. მომავალში, კურსების განვითარებასთან ერთად ფიქრობენ შემდეგი პროგრამის შემოღებას: სახელმწიფო და ადმინისტრატიული უფლების საფუძვლები, თვითმართველობის იურიდიული საფუძვლები, სამაზრო და თემის მილიცია, სასამართლოს წარმოება, ჯარში გაწვევა და მობილიზაცია, ადგილობრივი ფინანსები, ბიუჯეტი, მუნიციპალური წარმოება, ბუღალტერია, კანტროლი, სასურსათო საკითხი, სასკოლო საქმეები, რესპუბლიკაში აგრარული რეფორმის გატარება და სხვ. (სდს).

სრულიად საქართ მასწავლებელთა კოოპერატივი

20—24 ნოემბერს შესდგა კრება მასწავლებელთა კოოპერატივის დასაარსებლად. თანახმად წესდებისა არჩეულ იქნა გამგეობა ხუთი კაცისაგან: გ. გიორგობიანი, დ. პარკაძე, ივ. ვართაგავა, არ. სულაძე და ვლ. გიორგაძე. გამგეობა უკვე შეუდგა საქმეს. რამდენადაც ვიცით, მთავრობამ დაუთმო გამგეობას ბინა და მისცა დაპირებული 10,000,000 მ. ასე რომ, საქმე დაწყებულია და საჭიროა გამგეობის ენერგიული და უნარიანი მუშაობა. მაგრამ გამგეობა მაშინ შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ მის მუშაობას თანაგრძნობით შეხვდებიან მთავრობა და ყველა ის ეკონომიური ორგანიზაციები, რომელთა ხელშია დღეს სურსათ-სანოვაგის საქმე.

მასწავლებლებიც ვალდებული არიან პირნათლად შეასრულონ მოვალეობა გამგეობის წინაშე: თავის დროზედ წევრად ჩაწერით, ცნობების მოწოდებით და სურსათ-სანოვაგის სისწორით და სწრაფი განაწილებით,—სამაზრო და რაიონული კავშირების საშუალებით.

ვან—გან.

მიწის მუშათა კავშირი და ეროვნულ დემოკრატები

(წერილი ხონიდან)

გაზ. „საქართველოს" 115 №-ში არის მოთავსებული კორესპონდენცია ხონიდან ვიღაც „ადგილობრივის", რომელიც სხვა ყალბ ცნობათა შორის, რომლებსაც ის აწვდის საზოგადოებას, სწერს: „ამ წლის იანვარში ხონში გააკრეს დაბეჭდილი მოწოდება კავშირების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ს.-დ. პარტიის ხონის ივანდიდის უბნის კომიტეტი".

ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება. მიწის მუშათა პროფ. კავშირმა გამოსცა მოწოდება, რომელშიაც ის მოუწოდებდა სხვა მიწის მუშებსაც კავშირების დასაარსებლად. ამ მოწოდებას ხელს აწერს არა ივანდიდის სოც.-დემ. კომიტეტი, არამედ ივანდიდის პროფესიონალური კავშირის გამგეობა. რომ ეს ასეა, ამას დაინახავთ ხსენებული მოწოდების იმ 2 ეგზემპლიარიდან, რომელთაც გიგზავნით ამასთანავე ამ მოწოდებიდანვე დაინახავთ, თუ რამდენათ სწორეთ არის გადმოცემული ამ მოწოდების შინაარსი გაზ. „საქართველოს" კორესპონდენტის მიერ, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის მიმართულია ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ.

დაე ხონის რაიონის მშრომელმა მასსამ, რომელსაც წაკითხული აქვს ეს მოწოდება, დააფასოს ეროვნული დემოკრატების ეს საქციელი.

ხონის ს.-დ. ორგანიზაციის ივანდიდის საუბნო კოლექტივი.*)

პროფესიონალურ კავშირებში

კავშირთა საბჭო.

შრომის ბირჟის შესახებ. 17 დეკემბერს შესდგა თფილისის პროფ. კავშირთა საბჭოს სხდომა. პირველად განხილულ იქნა საკითხი შრომის ბირჟის შესახებ. ხანგრძლივ კამათის შემდეგ საბჭომ საჭიროთ სცნო, რომ კავშირის ყოველმა წევრმა ხელი შეუწყოს შრომის ბირჟის სასურველად გატარებას და უსაქმო ელემენტების შრომაში ჩაბმას. მეორე მხრივ საბჭომ აუცილებლად სცნო მიღებულ იქნას ზომები, რომ არ დაიჩაგროს მცხოვრებთა მშრომელი ნაწილი და უზრუნველად დარჩენილნი. ამ მიზნით საბჭომ აირჩია კომისია, რომელიც იმუშავებს ცენტრალურ კომისიასთან შეთანხმებით ხსენებული ზომების ცხოვრებაში გასატარებლად. გამოითქვა სურვილი, რომ შრომის ბირჟა შეეხოს იმ წვრილ მოვაჭრეებსაც, რომელთაც ვაჭრობისათვის თავი შეუფარებიათ და სპეკულიაციას ეწევიან.

დამატებითი არჩევნები სატარიფო პალატაში. სატარიფო პალატაში თავის წარმომადგენლათ საბჭომ აირჩია ამხ. ამაშუყელი და ერზიკიანცი, კანდიდატებად შენგელაია და ბიბინეიშვილი.

მუშათა კლუბის შესახებ. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა მუშათა კლუბის რეორგანიზაციის შესახებ. გამოირკვა, რომ მუშათა კლუბს არა აქვს მჭიდრო კავშირი მუშათა მასასთან და საერთოდ თავისი საქმე არ აქვს სასურველად მოწყობილი. სიგვიანის გამო ხსენებული საკითხის განხილვა შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 16 დეკემბერს შესდგა საქ. ს.-დ. მ. პარ. პირველ რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

კრება ითვალისწინებს რკინის გზელთა მომავალ ყრილობისათვის დელეგატების არჩევნების საკითხს და გამოსთქვამს სურვილს, რათა ამ ჟამათ ფრონტზე მყოფ რკინის გზელ გვარდიელებმა უსათუოდ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

სამღვდელოების მოქმედების შესახებ კრებას გამოაქვს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს მთავრობისაგან სამღვდელოების თავხედ ნაწილის წინააღმდეგ სასტიკ ზომების მიღებას და მონასტრებში შეკრებილ ძვირფას ქონების და განძეულობის უშიშარ ადგილას გადატანას.

ფოფხაძე.

—

ხაშური. (გორ. მაზრა). 16 ნოემბერს ადგილობრივ თეატრის დარბაზში შესდგა ხაშურის ს. დ. ქალთა კრება. ამხ. ქუმპურიძის მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია კომისია, რომელიც მოქსოვს ფრონტის საჭიროებისათვის შალების ხელთათმანებს, წინდებს და სხვა საჭირო საგნებს.

შალიკო ხვადაბუნელი.

—

თფილისი. 14 დეკემბერს პირველ რაიონის ქალთა ორგანიზაციის მეთაურობით შესდგა პარტიული კრება.

ელ. კუტალაძის წინადადებით კრება ერთხმათ ადგენს მხურვალე მონაწილეობა მიიღოს უკვე მოახლოვებულ საარჩევნო კამპანიაში.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება პარტიულ წიგნაკებისა და რაიონში არსებულ ღარიბ ბავშვთა კონსულტაციის შესახებ და დაადგინა: დაუყონებლივ შემოიტანონ ამხანაგებმა პარტიული წიგნაკები სარეგისტრაციოთ და გადაიხადონ ხვედრი საწევრო გადასახადი, გადატანილ იქნეს კონსულტაცია ვაგზლის ქუჩაზე, სადაც მას უხელმძღვანელებს დედობისა და ბავშვთა დამცველი საზოგადოება.

მდივანი ლიზა ფიოდოროვა.

—

ნავთლუღი. მე-7 რაიონულმა კოლექტივმა დაამტკიცა დადგენილება სამხედრო სანივთო საწყობის „იაჩკისა" და გამორიცხა პარტიის წევრობიდან გიორგი ყორღანაშვილი, თანახმად წესდების მე-17 მუხლისა.

საქ. სოც.-დემ. მ. პ. მე 7 ე რაიონულ კოლექტივის პრეზიდიუმი.

პროვინცია

სამურზაყანოს მაზრაში 17—18 ოქტომბერს მოხდა წვრილი ერობის არჩევნები. არჩევნებში ჩვენი პარტია ყველა საზოგადოებებში გამოდიოდა; შვიდ სოფელში გამოვიდნენ ნაც.-დემ., სოც.-ფედ. ორში, ხოლო ს.-რევ. არც ერთ საზოგადოებაში. არჩევნები 13 საზოგადოებაში მოხდა, ხოლო სამში სხვადასხვა მიზეზების გამო არ მოხდა და სხვა დროისათვის გადაიდო. არჩევნების შედეგი ასეთია: მთელ მაზრაში მიიღეს ს.-დემ. (№ 1) 307, ნ.-დემ (№ 2) 57, ს.-ფ (№ 5) 1 და ს.-რ არც ერთი.

ბ. აბაშელი.

—

ქ. ბორჯომი. 1919 წლის სექტემბერში ჩარხის-წყალზე (მუშათა უბანში) შესდგა ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც არსებობს დღემდე და მუშაობს სისტემატიურათ. წმინდა შემოსავალი მიდის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ. უნდა ითქვას, რომ სცენის მოყვარეებს გული გატეხილი აქვთ, რადგანაც მათ არავინ ყურადღებას არ აქცევს. მათ არა აქვთ არავითარი რეკვიზიტი; ყოველ წარმოდგენაზე დასი აწუხებს მცხოვრებთ ტანისამოსის და სცენისათვის სხვა საჭირო საგნების თხოვნით, მაგრამ, თუ დღემდე ასეთ თხოვნებს ხალხი აკმაყოფილებდა, ეხლა ამაზე უარს ამბობენ, რაც სრულიად ბუნებრივია თანამედროვე სიძვირის დროს. თვით სახალხო სახლი არ არის მორთული. სცენა მოუწყობელია, ფანჯრები დამტვრეული და არავითარი ინვენტარი ამ სახალხო სახლს არ აქვს.

მიუხედავათ დასახელებულ დაბრკოლებისა, სცენის მოყვარეები მაინც განაგრძობდნენ მუშაობას და კიდეც შეძლეს ხალხი დაეინტერესებინათ; ხალხი ბლომათ ესწრებოდა წარმოდგენებს, მაგრამ 14 ოქტომბრიდან მათ უკვე შესწყვიტეს მუშაობა და წინადადება მისცეს უნივერსიტეტის გამგეობას, რომ თუ სახალხო სახლისათვის შეიძენენ საჭირო ნივთებს, მხოლოთ იმ შემთხვევაში დაიწყებენ მუშაობას.

დაინახეს რა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის გულცივობა,—სცენის მოყვარეებმა დაარსეს თავიანთი გამგეობა და შექმნეს საკუთარი ფონდი; მაგრამ ისინი სახალხო სახლში მაინც არ თამაშობენ.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს სახალხო სახლს, რომ მუშაობა უფრო ნაყოფიერი შეიქნეს.

დ. ფარანცოვიძე.

—

ზემო-გომი. (ქართლი) ნოემბრის 30-ს გომში მოწვეულ იქნა გომის რაიონის 48 სოფლის წარმომადგენელთა ყრილობა. ამხანაგებმა დაწვრილებით საზოგადოებას ფართოდ დაუხასიათეს შექმნილი მდგომარეობა და მოსალოდნელი საფრთხე. აგრეთვე წაკითხულ იქნა მოწოდება თავდაცვის ფონდის დაარსებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა მოწოდებას და აღუთქვა მთავრობას ყოველგვარი დახმარება. ახსნა განმარტების შემდეგ არჩეულ იქნა თავდაცვის რაიონული კომისია—გომში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიათა წარმომადგენლებისგან და აგრეთვე სოფლათ დამხმარე კომისიები. რაიონულ კომისიის გამგეობაში შედიან: ესვანჯია, ლომიძე, დ. მაჭარაშვილი, მეფარიშვილი, ხარაზაშვილი, გ. ბეშია, ი. მირიანაშვილი.

ხარდალი.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" № 253 მოთავსებულია ა. ვადაჭკორიას წერილი: „მუშათა კონტროლიორები და ქალაქის სასურსათო განყოფილება".

ვიდრე აღნიშნული წერილის განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველ საზოგადოებას გავაცნო ჩემდამი რწმუნებულ სავაჭრო სასურსათო საზედამხედველო აგენტის პატაკი, რომელსაც ბ-ნი ვადაჭკორია „დანოს"-ს უწოდებს. „უნდა მოგახსენოთ, რომ ბ-ნ შრომის სამინისტროს კონტროლიორი ცინცაძე, ბევრჯერ უკანონოდ იქცევა, მე მგონია, რომ აგენტები უფრო არიან პასუხისმგებელი, ვიდრე შრომის სამინისტროს კონტროლიორი, მაგრამ მიუხედავად ამისა ბ-ნი ცინცაძე არც კი ეკითხება აგენტებს, ისე მივარდება რომელიმე ყასაბს და მუქარით აძლევინებს ამა თუ იმ დაწესებულებებისათვის ხორცს. აგენტებს სიები აქვთ, თუ ვის რამდენი აქვს დაკლული საქონელი და ჩემის აზრით, აგენტებმა უფრო იციან, თუ ვისგან რამდენი უნდა წაიღონ. მაგალითად, სტამბის მუშებს მიაქვთ დაახლოვებით 7 ფუთამდე ყოველ დღე, რა დააშავეს სხვა დარგის მუშებმა, რომელნიც დილის სამი საათიდან რიგში დგანან და ისევე უხორცოთ მიდიან, ხორცის ნაკლულოვანობის გამო. მე არ ვიცი, რა დირექტივებით არის აღჭურვილი ბ-ნი ცინცაძე, მაგრამ ეს კი ნათელია, რომ ის არავითარ კანონებს არ ემორჩილება, მაგალითად, ამას წინათ მან დააკავა ტომრები. ჩემის აზრით, ეს მოქმედება არაკანონიერია, ვინაიდან ცარიელ ტომრებზედ არც ნიხრია და რეკვიზიციაც არაა გამოცხადებული; გარდა ამისა უნდა მოგახსენოთ, რომ ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ სალამოს ხორცის გაცემა სხვადასხვა დაწესებულებებზედ რამდენიმეს გამოკლებით მოგესპოთ, ვინაიდან ამას ძლიერ არევ-დარევა შეაქვს და აგენტებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. აგენტი მ. ბარკალაია". (ხელის მოწერა.)

„ქალ. თფილისის ტერიტორიაზედ მოქმედობს ქალაქის მიერ მიღებული სავალდებულო წესები. მას ახორციელებენ ქალაქის აგენტები. ამ ნიადაგზედ უნდა მუშაობდეს ყველა და არავის არ უნდა ეპატიოს სათანადო გზით მიღებულ წესებში უხეშად შეჭრა, სახელმწიფოში სახელმწიფოს შენება კონტროლიორ ცინცაძის მოქმედებაში კი ასეთი ელემენტი სჩანს. საჭიროა სათანადო გზით განემარტოს მას, რომ ის დამხმარე ძალაა ქალაქის აგენტებისა და როგორც ასეთი, მისი მოვალეობაა სასტიკად დაიცვას ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებული წესი, რომლისდამიხედვით ხორცის განაწილების საქმეს მეთვალყურეობს საზედამხედველო აგენტი და მის დაუკითხავად არავისა აქვს ნება განკარგულების მიცემის ამ სფეროში". ხელს აწერს ქ. ა. ფანიევი.

ეხლა თვით მკითხველმა საზოგადოებამ გამოიტანოს თავის სამართლიანი მსჯავრი. ნუ თუ [illegible] აგენტის პატაკი არის „დანოსი", დაწერილი მუშათა მაგიდის კონტროლიორის ცინცაძის წინააღმდეგ, რომელშიაც აღნიშნულია უკანასკნელის მიერ უფლებების მითვისება და უკანონოდ ქცევა?

მუშათა კონტროლიორები და პროფესიონალური კავშირის სეკრეტარიატის რწმუნებულნი მოწვეულნი არიან როგორც მაშველი პირები და არა როგორც აღმასრულებელი ორგანო.

ყალბია ის შეხედულება, ვითომ მათი წყალობით აღდგენილია წესრიგი ბაზარზედ, რაც სხვათა შორის იქიდანაც კი სჩანს, რომ მათი რიცხვი მთელ ქალაქში ფაქტიურათ არ გასცილდება სამს და უკანასკნელ ხანებში კი ორამდეა დაყვანილი, საზედამხედველოს აგენტები კი რიცხვით 16 კაცი გაფანტულნი არიან ქალაქ თფილისის სხვადასხვა რაიონებში და თავგამოდებით ებრძვიან აღვირ ახსნილ სპეკულიაციას.

სასურსათო განყოფილებას ბ-ნ ა. ვადაჭკორიაზედ უკეთ ესმის, რომ რევოლიუციურ ხანაში თვითმმართველობის ვალია სასტიკი თვალ-ყური ადევნოს ნიხრის ცხოვრებაში გატარებას. ის ასედაც იქცევა, მაგრამ დამნაშავეთა დასასჯელად არ კმარა მარტო ოქმების შედგენა, საჭიროა მათი სისრულეში მოყვანა, ეს უკანასკნელი კი შეჩერებულია თანახმად სათანადო განკარგულებისა და თუ ბ-ნი ვადაჭკორია დაინტერესებულია აგენტების მუშაობით—შეუძლიან შეეკითხოს იმავე ბაზრის კონტროლიორს ბ-ნ ცინცაძეს და გაიგებს, რომ ათასობით ოქმები უძრავათაა საზედამხედველოს საქმეებში. ბ-ნი ვადაჭკორია ალბად აუღელვებია იმას, რომ აგენტი აღნიშნავს: სტამბის მუშები, (რომლის წარმომადგენელი თვითონ ვადაჭკორია ბრძანდება) ყოველ დღე ეზიდებიან დაახლოვებით 7 ფუთამდე ხორცს (ცინცაძის მეოხებით) და სხვა დარგის მუშები კი ხელცარიელი რჩებიან.

აგენტის ამგვარი განცხადება სამართლიანია, ვინაიდან ერთ და იმავე მუშებისათვის 7 ფუთამდე ხორცის მიცემა ყოველ დღე, როდესაც დანარჩენებს 7 მისხალიც არა ხვდება ხორცის ნაკლებობის გამო, უსამართლობა იქნებოდა.

სავაჭრო სასურსათო საზედამხედველოს ყოველ დღე სასაკლაოდან მოსდის ცნობები, თუ რომელმა ყასაბმა რამდენი საქონელი დაკლა, ამ ცნობების მიხედვით აგენტები უნაწილებენ მუშათა ორგანიზაციებს და სხვა მოქალაქეებს ხორცს, ისე რომ, ცოტ ცოტა ყველას შეხვდეს; ეს თუ ასე არ უნდა იყოს—თვით მკითხველმა საზოგადოებამ განსაჯოს.

აშკარა სიყალბეზეა აგებული ბ-ნ ვადაჭკორიას წერილის ის ადგილიც, რომლითაც ის მკითხველ საზოგადოებას მოუთხრობს, რომ „აგენტების მუშაობაში არ ყოფილა შემთხვევა, გარდა ორიოდე კეთილსინდისიერი პირისა, რამე დახმარება აღმოეჩინოს ხალხისათვის სურსათის შეძენის საქმეშიო". სხვა არა იყოს-რა, როგორც ამ თანავე დართული სიიდან პატივცემული რედაქცია, ოთხმოცი ორგანიზაცია-დაწესებულება ღებულობს ხორც ნიხრის კვალობაზედ საზედამხედველოს აგენტების პირ-და-პირი და უშუალო დახმარებით.

რაც შეეხება ბ-ნ ვადაჭკორიას განცხადებას „50.000 მანეთი ერთხელ გადამიხდია, 50.000 მანეთს თქვენ მოგცემთ და ჩემის საყასბოდან ხორცს ნუ წაიღებთო, მიმართა ჩვენს რწმუნებულს ერთმა ვაჭარმა სოლდატის ბაზარზედ",—ეს არა კეთილ სინდისიერი, უპასუხისმგებლო წასისიანებაა საზოგადოებრივი აზრის საზედამხედველოს აგენტების წინააღმდეგ საერთოდ, ვინაიდან „მხილების" ჟინით გატაცებულ არც იმის შემოწმებით შეუწუხებია თავი, თუ რამდენათ სამართლიანია აღნიშნული „ბრალდება", არც იმაზე გვითითებს—სახელდობრ ვინ, რომელი აგენტი ჰყავს მხედველობაში, თუმცა მას ამის სრული საშუალება ჰქონდა.

რაც შეეხება ბ-ნ ვადაჭკორიას საერთო ხასიათის „მსჯელობას" —ვითომც აგენტებთა შორის ბოროტმოქმედებებს ჰქონდეს ადგილი,—უნდა განვაცხადო, რომ სასურსათო განყოფილება მთელი თავისი ძალ-ღონით ებრძვის ბოროტმოქმედებებს შიგნით და გარედ და საეჭვო პირებს დაუნდობლად ერეკება სამსახურიდან. აგენტებს შორის არის ფარული კონტროლი ერთი ერთმანეთისადმი და საკმარისია პატარა ეჭვიც კი, რომ ოდნავად შეუფერებელი პირი ადგილს გამოეთხოვოს.

ასეთი დაუშვებელი დემაგოგიური გამოლაშქრება ქალაქის სასურსათო განყოფილებისა და ქალაქის აგენტების წინააღმდეგ ბაზარზედ მეთვალყურეობის დარგში მაშინ, როცა უცილოა ის, რომ სასურსათო განყოფილებასთან არსებული სავაჭრო სასურსათო საზედამხედველო ერთ-ერთი ორგანოა ქალაქის ფარგლებში, რომელიც შეძლების დაგვარად მართლა ეხმარება საზოგადოების ღარიბსა და შედარებით უმწეო ნაწილს ბაზარზე უსაჭიროესი საგნების შეძენაში, ჩვენ სრულიად არ გვაკვირვებს. „ქალაქის ტერიტორიაზედ მოქმედობს—ქალაქის მიერ მიღებული სავალდებულო წესები... ამ ნიადაგზე უნდა მუშაობდეს ყველა და არავის არ ეპატიოს სათანადო გზით მიღებულ წესებში უხეშად შეჭრა, სახელმწიფოში სახელმწიფოს შენება"... და ვინც ამის გამო აღშფოთებული და აღელვებულია, ის სხვანაირად ვერ დააფასებდა სასურსათო განყოფილების მუშაობას საზოგადოთ და სავაჭრო სასურსათო საზედამხედველოს თანამშრომლებისას კერძოთ.

„ჭეშმარიტად ვერც ერთი გარეშე მტერი ვერ მიაყენებს ჩვენ დემოკრატიულ წყობილებას თვალსაჩინო ზიანს", ვიტყვით ჩვენც ბ-ნ ვადაჭკორიასთან ერთად, როგორც ზოგიერთი „ჯავარიანი" კალმოსნების მიერ არამც თუ ფაქტების დამახინჯება, ასეთების სრულიად უარყოფა.

დანართი: მთელი მიწერ-მოწერა ამ საქმის შესახებ და სია დაწესებულებების და ორგანიზაციებისა, რომელთაც ეძლევათ ხორცი აგენტების უშუალო დახმარებით არსებული ნიხრის კვალობაზედ *).

სასურსათო განყოფილების გამგე, გამგეობის წევრი ქ. ფანიევი.

---

*) ამ წერილში მოხსენებული მოწოდება რედაქციამ მიიღო, რომელიც სავსებით ადასტურებს წერილის შინაარსს.
რედ.

*) ყველა ეს დოკუმენტები წარმოდგენილია რედაქციაში.
რედ.

რედაქტორი ლევან ნათაძე

განცხადებანი

იყიდება
მეწვრილმანის დუქანი
თავისი მოწყობილობით. იკითხეთ: მოსკოვის და მტკვრის ქ. კუთხე, საამოვი.
(4068—1—1)

სწრაფად და რიგიანად
ილესება
სამართებლები „ჟილეტი" გაუფუჭებლად ავტომატზე. სასახლის ქ. 3, ცაგუროვის მაღაზია, დილის 8—3 საათ.
(4052—2—1)

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—იანვ

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს სალამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ქალთა ექიმი
მარიამ [illegible]
თოფურიძე პანიევი
იღებს საბებიო და ქალის სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე სალამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. [illegible] ოლღას ქ. № 23. (7 იანვ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროექტორ „აპოლოს" მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლი ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. [illegible] ქ., 29, ტელეფ. 7—91 (1—იანვ.)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნევრასთენია (საშარდე [illegible]). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით, პარალელურად). მიღება დილით 10—11 სთ. და საღ. 5—7 საათამდე. 15—იანვ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფობებით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), კუჭის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. სოლომ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. [illegible], ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7—იანვ.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914" და „606" შეშხაპუნება) კანის, ვენერიული და საშარდო-სასქესო ავადმყოფობანი ავადმყოფების მიღება დილის 12—2 ს. და სალამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი).
(1 იანვ.)

ქ. შ. ზართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(23—დეკ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, სალამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იან.)

დღეს, 20 დეკემბერს დაიწყება
ფულის მიცემა
იმ პირებზე, რომლებსაც რეკვიზიციით ჩამოერთვათ ცხენები სახალხო გვარდიისთვის. კახეთის ქუჩა № 84. (4062—1—1)